სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის

II-III კვარტლის ანგარიში

2016 წლის II-III კვარტალის ანგარიში, რომელიც მოიცავს აპრილის, მაისის, ივნისის, ივლისის, აგვისტოს და სექტემბრის თვეების საანგარიშო პერიოდს. ანგარიშში ნარატიული ფორმით განხილულია: რა სიახლეებია; რა მიღწევებია; რა მოხდა მნიშვნელოვანი მოცემულ საანგარიშო პერიოდში. ამასთან, დოკუმენტი მოიცავს მოკლე ინფორმაციას მიმდინარე პროცესებისა და სამომავლო გეგმების/ხედვების შესახებ.

- მედია წარმოების ბლოკი
- მედიისა და კომუნიკაციის ბლოკი
- ახალი და მინდინარე ამბების ბლოკი
- ფინანსების და ადმინისტრაციის ბლოკი
- წარმოების და ტექნიკური უზრუნველყოფის ბლოკი
- ადამიანური რესურსების მართვის სამსახური
- იურიდიული სამსახური
- არქივი

მედია წარმოების ბლოკი

1. სიახლეები ბლოკის ჭრილში
2. აღიარება/ჯილდო/ნომინაცია
3. საზოგადოებრივი ჩართულობა/კამპანიურობა
4. სპეც. პროექტები
5. სამომავლო გეგმები
6. პრობლემები/სურვილები
7. სტრუქტურული და ორგანიზაციული ცვლილებები

- **C სტუდია** - კომუნიკატორის ბაზაზე მომზადდა და სექტემბრიდან მაუწყებლობის ფაზაშია კულტურულ შემეცნებითი პროექტი „**C სტუდია“.** გადაცემა ყოველ სამუშაო დღეს, საღამოს ეთერს იკავებს და მაყურებელს აცნობს საქართველოს და მის ფარგლებს გარეთ მიმდინარე მოვლენებს კულტურისა და მეცნიერების შესახებ.
- **ოთარ შამათავას შოუ** - წარმოების ფაზაშია **შუადღის ყოველდღიური თოქ შოუს ფორმატი,** რომელიც ინტეგრირებული იქნება გასართობი, შემეცნებითი და სპროტული სეგმენტი.
- **ტელემანი** - სექტემბრიდან მაუწყებლობის ფაზაშია შუადღის გასართობი ხასიათის პროექტი „**ტელემანი“.**
- **ლიზა ბაგრატიონის შოუ** - წარმოების ფაზაშია შაბათის საღამოს გასართობი შოუ პირობითი სახელით **„ ლიზა ბაგრატიონის შოუ“.**
- **საბავშვო სიტყვების თამაში** - წარმოების ფაზაშია გადაცემა **„საბავშვო სიტყვების თამაში“.**
- კვლევის შედეგების გათვალისწინებით დამუშავდა ახალი ფორმატები. ფოკუს ტესტები გავლილია მედია და კომუნიკაციის ბლოკთან. რეკომენდაციები მიღებულია წარმოების დეპარტამენტიდან. ამ ეტაპზე მიმდინარეობს 2017 წლის ბიუჯეტის ფორმირება (შესაბამისად ახალი გადაცემების დამტკიცება ბადის მოთხვნებიდან გამომდინარე) ;
- **სარედაქციო საბჭო** - შეიქმნა და მუშაობს კოლეგიალური ორგანო, სარედაქციო პოლიტიკის და სხვა პრიორიტეტული საკითხების გადაჭრის გზების გამარტივებისთვის;
- **კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებები და გამოყენების წესები** - შეიქმნა დოკუმენტი, რომელშიც დეტალურად გაიწერა კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებები და გამოყენების წესები
- **ტრენინგი - კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენების შესახებ** - დაორგანიზდა და ჩატარდა მედია წარმოების თანამშრომლებისთვის ტრენინგები კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენების შესახებ;
- **ტასქ ფორსი** - დაწყებულია რადიო არხების ფორმატების და გადაცემების ტრანსფორაციის/ოპტიმიზიაციის პროექტის განხორციელება. შეიქმნა თასქ ფორსი, რომელიც იმუშავებს რადიო მიმართულებით ნაკლოვანებების იდენტიფიცირებაზე და შეიმუშავებს სამოქმედო გეგმას.

- **არსებული პროექტების განახლება და ახლი პროექტების ინცირება 2017 წლისთვის** _ 2017 წლის ბიუჯეტის ფორმირებისთვის განახლდა და განხორციელდა ძველი და ახალი პროექტების პასპორტები და ბიუჯეტები. გადაცემები ჩაშლილია შემდეგი მიმართულებების მიხედვით:

შუა დღის თოქ-შოუ - შამათავა	გასართობი
7-8 მდე საოჯახო თოქ-შოუ	გასართობი
ლიზა ბაგრატიონის შოუ	გასართობი
მეგა შოუ ფროდიჯი	გასართობი
მეგა შოუ + 1	გასართობი
საახალწლო წლის საუკეთესო	გასართობი

ევროვიზია	გასართობი
უცნობი მუსიკა	გასართობი
გურმანია	გასართობი
დილა	გასართობი
საპრიზო რბოლა	გასართობი
ცოცხალი მუსიკა	გასართობი
დეკადა	გასართობი
დღე მუზეუმში	კულტურა ხელოვნება
წითელი ზონა	კულტურა ხელოვნება
C სტუდია	კულტურა ხელოვნება
რეალური სივრცე ყოველდღიური	მულტი ჟანრი
ფერადი სტუდია (5+)	საბავშვო/ახალგაზრდული
სიტყვების თამაში (საბავშვო)	საბავშვო/ახალგაზრდული
ახალგაზრდული თოქ შოუ (17+)	საბავშვო/ახალგაზრდული
წიგნების თარო	საბავშვო/ახალგაზრდული
ტელემანი	საბავშვო/ახალგაზრდული
12 რეგიონი	საბავშვო/ახალგაზრდული
რაგბი აქაურობას	საბავშვო/ახალგაზრდული
დეტექტიური სერიალი	ტელეფილმები
კლასიკოსები	ტელეფილმები
სიტკომი	ტელეფილმები
ეკიპაჟი	ტელეფილმები
ქართული დიკუმენტალისტიკა	ტელეფილმები
ხანმოკლე XX საუკუნე	ტელეფილმები
ეპოქა	ტელეფილმები
ტელებლოგები	ტელეფილმები
გააგრძელე საქ. ისტ.	ტელეფილმები
მრავალთავი	ტელეფილმები
კულტურული მემკვიდრეობა კინოისტორია	ტელეფილმები
კულტურული მემკვიდრეობა არქიტექტურა	ტელეფილმები
გარე წარმოება_In treatment	ტელეფილმები
გარე წარმოება_ამოუცნობი კავკასია	ტელეფილმები
ჰოპლა_ჩვენ_ვცოცხლობთ	ტელეფილმები
პირადი ექიმი მარი მალაზონია _ თოქ სოუ	შემეცნებითი
შერეკილები (საინვესტიციო პროექტების შოუ)	შემეცნებითი
ტრანსმისია	შემეცნებითი
ნეშენალ ჯეოგრაფიკი	შემეცნებითი
პირადი ექიმი ყოველდღიური	შემეცნებითი
ფერმა	შემეცნებითი
კალენდარი	შემეცნებითი

- განხორცილდა არსებული რადიო გადაცემების დეტიზებული ბიუჯეტების ფორმირება .

აღიარება / ჯილდო/ნომინაცია

- გადაცემა **„დღე მუზეუმში“** დაჯილდოვდა საერთაშორისო მედიაკავშირის პრიზით „ოქროს ფრთა“, ორიგინალობისა და კომპეტენტურობისათვის, როგორც საუკეთესო საგანმანათლებლო გადაცემა ქართულ მედიასივრცეში. აგრეთვე საუკეთეო საექსპეტრო შეფასებები დაიმსახურა საგანმანათლებლო გადაცემათა კუთხით.

- ქეთევან სადღობელაშვილის და გიორგი მოლოდინაშვილის **ფილმმა “ვაზში დაკარგულები“** საფრანგეთის ენოვიდეოს საერთაშორისო კინოფესტივალზე ორი პრიზი მიიღო. ჟიურის მთავარი პრიზი საუკეთესო ნამუშევრისთვის და „Bayer CropScience“-ის პრიზი ქვეყნის საუკეთესოდ წარმოჩენისთვის. პრიზების გადაცემა მოხდა პარიზში, ლუქსემბურგის სასახლეში, 14 სექტემბერს.

- გადაცემამ **„ხანმოკლე XX საუკუნე“** ქართულ ჟურნალისტიკაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის პრემია "ოქროს ფრთა" მიიღო.

- II კვარტალის საანგარიშო პერიოდში, - აგროჟურნალისტის, დემეტრე ერგემლიძის სიუჟეტი ღვინის ისტორიის და ინდუსტრიის განვითარების შესახებ ნომინირებული იყო **ევროპის მაუწყებელთა ასოციაციის კონკურსზე.**

- III კვარტალის საანგარიშო პერიოდში, აგროჟურნალისტ, დემეტრე ერგემლიძის სიუჟეტი „ჯანსაღი საგზალი სკოლისთვის“ წარდგენილია **„ოქსფამის“ მიერ გამოცხადებულ კონკურსზე.**

საზოგადოებრივი ჩართულობა /კამპანიურობა

- ივლისიდან გადაცემის **„პირადი ექიმი“** წამყვანი მარი მალაზონია გახდა ონკოლოგიურ პაციენტთა კავშირის ოფიციალური მხარდამჭერი.

- **“ფერმა“** - სასურსათო უსაფრთხოების პოპულარიზაციის მიზნით მოწყობილ აქციაში „ჯანსაღი საგზალი სკოლისათვის“ თემატურ განხილვაში მონაწილეობა, გაშუქება.

- აჭარის რეგიონში გადაცემა **„დღე მუზეუმში“** ივლისის თვეში შეხვდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 5 მუზეუმის მენეჯმენტის წარმომადგნლებსა და დირექტორებს, ხელოვნებათმცოდნეებს. სამუშაო სემინარის ფორმატში ავტონომიური რესპუბლიკის მუზეუმის თანამშრომლებმა გადაცემას შესთავაზეს იმ კონკრეტული თემების გაშუქება, რომლებიც ჯერ არასდროს გაშუქებლა საზოგადოებრივი მაწყებლის ეთერში.

- საქართველოს სახელმწიფო მუზეუმმა დაითვალა 2016 წლის ვიზიტორთა რიცხვი, რომელიც 30 პროცენტითაა მომატებული გასული 5 წლის მონაცემებთან შედარებით. სახელმწიფო მუზეუმის მენეჯმენტის განცხადებით, ეს სასიამოვნო ფაქტი საზოგადოებრივ არხზე გადაცემას **„დღე მუზეუმში“** მიეწერება, რომლის წყალობითაც ქართველ დამთვალიერებელს ინტერესი გაუჩნდა გადაცემაში ნანახი ექსპონატებისა და გაშუქებული თემების შემდეგ წვეოდნენ მუზეუმებს და თავისი თვალით ენახათ ექსპოზიციები.

- III კვარტალის პერიოდში გადაცემა **„დღე მუზეუმის“** ჯგუფის წევრები ბათუმში მივლინების პერიოდში შეხვდნენ და ესაუბნენ აჭარის კულტურის სამინისტოსა და სამუზემო გაერთიანების წევრებს. შეიტყვეს სიახლეები და პრობლემები აჭარის სამუზეუმო ცხოვრებაში,

გადაცემაში გააშუქეს ეს პრობლემები, საქართველოს კულტურის სამინისტროს და კულტურული მემკვიდრეობის ფონდის წინაშე დააყენეს აჭარაში დაგროვილი პრობლემები. შევისწავლეთ ფოთის კოლხური კულტურის მუზეუმის კატასტროფული მდგომარეობა, ექსპონატები, რომლებიც დაღუპვის პირასაა კლიმატონტროლის არარსებობის გამო. გადაცემა სპეციალური წერილით მიმართავს კულტურის სამინისტოს ფოთის მუზეუმის გადასარჩენად.

- **გადაცემაში „ტელებლოგი“** ნინო დადვანის ფილმი „პიესა ორხევის ორკესტრისათვის“ ეთერში გასვლის შემდეგ საქველმოქმედო **ფონდმა „იავნანამ“ სასწავლებლის ორ მოსწავლეს სტიპენდია დაუნიშნა.**

- **წიგნების თარო - "ბლოგერების კონკურსი"** - საზოგადოებრივი ჩართულობის უზრუნველსაყოფად სტუდენტური სეზონის პარალელურად ვებგვერდზე და სოციალურ ქსელში ბლოგერების კონკურსი მიმდინარეობდა.

- **წიგნების თარო - საზაფხულო ბანაკი გადაცემის ყველა მონაწილეს** - „წიგნების თაროს“ პირველი სეზონის ყველა მონაწილე (104 მოზარდი) ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნული ცენტრის მხარდაჭერით, აგვისტოში ანაკლიის ბანაკში მიდის.

- **“წიგნების თარო”** - გამოვლინდა პირველი სეზონის გამარჯვებული გუნდი - ვეკუას სკოლის 3 მოსწავლე აგვისტოში დიდ ბრიტანეთში, კემბრიჯში გაემგზავრება.

- **“წიგნების თარო” - მეორე სასკოლო სეზონის “მაყურებლის რაუნდი”** - სექტემბრიდან, მეორე სასკოლო სეზონიდან, ნებისმიერი მაყურებელს შეუძლია გამოგზავნოს გადაცემის ფორმატის შესაბამისი კითხვები, მიიღოს მონაწილეობა “წიგნების თაროში” და დასაჩუქრდეს გადაცემის სპეციალური პრიზებით.

- ერთთვიანი პროექტი გადაცემაში „დილა პირველზე“ **„სიტყვა“** რაც გულისხმობდა მივიწყებული ქართული სიტყვების გახსენებას.

- **“ტელემანი” - 100 ლარი მაყურებელს** - ეთერში გასული 17 გადაცემის შედეგად 12 მაყურებელს 100 ლარი გადაეცა.

- პროექტი **„გაამწვანე შენი ეზო“.** ერთი თვის განმავლობაში თბილისის მერიისა და სამი არასამთავრობო ორგანიზაციის დახმარებით, დილა პირველზე მოსახლეობას ეხმარებოდა ეზოების გამწვანებასა და ლანდშაფტის დიზაინის დაგეგმვაში.

- **"პირადი ექიმი"**- შემოქმედებითმა ჯგუფმა მაისში შეიმუშავა, დაგეგმა და განახორციელა საქველმოქმედო მარათონის - WORLD RUN 2016 - მხარდამჭერი, სამედიცინო რეკომენდაციებზე დაფუძნებული, გრაფიკული ვიდეორგოლები. რისთვისაც საზოგადოებრივმა მაუწყებელმა აქციის ორგანიზატორებისგან მიიღო მადლობის წერილი.

- აუტიზმის საერთაშორისო დღისადმი (2 აპრილი) მიძღვნილ სოციალურ ვიდეორგოლში მონაწილეობა მიიღო გადაცემის წამყვანმა **მარი მალაზონიამ,** როგორც აუტიზმის მქონე პირთა მხარდამჭერმა.

- **“მიგრაციის მარშრუტები“**- საზოგადოებრივი ჩართულობის უზრუნველსაყოფად გადაცემის შემოქმედებითი ჯგუფი მონაწილეობდა დიასპორის დღეებში, მოხსენებით -„ემიგრაციის რადიოფონდი“; სტუმრები - დიასპორის წარმომადგენლები - თანამშრომლობენ ჩვენთან და გვიგზავნიან ვიდეო და აუდიო ჩანაწერებს.

სპეც პროექტები

დაინახე რაც გესმის

განხორციელდა მასშტაბური პროექტი **„დაინახე რაც გესმის“** რომელიც მიეძღვნა რადიოს იუბილეს. პროექტის მიზანი იყო აუდიტორიას დაენახა ის, რასაც როგორც წესი ვერ ხედავს და ვიზუალურად აჩვენა რადიოსტუდიაში მიმდინარე პროცესები. მსმენელმა გაიცნო რადიო წამყვანები, რომელთაც უფრო ხშირად უსმენენ და ნაკლებად ხედავენ. ამ გზით ხელი შეეწყო საზოგადოებრივი მაუწყებლის ამ პლატფორმის პოპულარიზაციას.

ცხელი ზაფხული პირველზე

10 ივნისიდან 10 ივლისის ჩათვლით პირველი არხი მთაწმინდაზე მოწყობილი სპეციალური პავილიონიდან გადიოდა პირდაპირ ეთერში, სადაც მაყურებელს შესთავაზა სპორტული რეპორტაჟები, გადაცემები ახალ ფორმატში.

მაყურებელს ქონდა საშუალება მთაწმინდაზე, პავილიონის მიმდებარედ მოწყობილ სივრცეში დიდ ეკრანზე თვალყური ედევნებინა ევროპის ჩემპიონატისთვის.

ევროვიზია

საქართველოს საზოგადოებრივმა მაუწყებელმა ევროვიზიის სიმღერის 61-ე კონკურსზე, რომელიც შვედეთში 10-12-14 მაისს ჩატარდა, ნიკა კოჩაროვი და ჯგუფი “Young Georgian Lolitaz” წარადგინა, სიმღერით “Midnight Gold”.

ყველაზე დიდი აღიარება ქართველებმა ბრიტანეთისგან მიიღეს - 12 ქულა, 10-10 ქულა კონკურსანტებმა სომხეთისგან, პოლონეთისგან და ლატვიისგან დაიმსახურეს. ქართველი კონკურსანტების გამოსვლას ტვიტერით გამოეხმაურა ცნობილი მწერალი, „ჰარი პოტერის“ ავტორი ჯოან როულინგი. მან ქართველების გამოსვლა დადებითად შეაფასა.

სტრუქტურული და ორგანიზაციული ცვლილებები

მოცემულ საანგარიშო პერიოდში განხორციელდა შემდეგი სტრუქტურული და ორგანიზაციული ცვლილებები:

- განხორციელდა მედია წარმოების საშტატო ერთეულების საპროექტო ჯგუფებად ფორმირება, როგორც ტელე, ისე რადიო მიმართულებით.

- განხორციელდა არსებული საშტატო ერთეულების სახელწოდებების ოპტიმიზაციის პროექტი.
- მოხდა ბლოკის სახელწოდების ცვლილება და კრეატულ ბლოკი გახდა - მედია წარმოების ბლოკი.
- ტელეფილმების მიმართულება დაიყო ორ სტრუქტურულ ერთეულად - "ტელე ფილმების სტუდია" და "დოკუმენტური ფილმების სტუდია".
- სპორტული მიმართულება მედია წარმოების ბლოკიდან სხვა სტურქტურულ ერთეულში გადავიდა.
- კროს-ჟანრის მიმართულების შეეცვალა სახელწოდება და გახდა - მულტიჟანრული მიმართულება

სამომავლო გეგმები

- ლაბორატორია ქმნის ალტერნატიული მაუწყებლობის პლატფორმას "მაუ", სადაც განთავსდება ინოვაციური კონტენტი.
- ფორმირების ფაზაშია მედია წარმოების ბლოკის 2017 წლის ბიუჯეტი, რომლის დამტკიცებისთანავე დაიწყება ახალი პროექტების წარმოების პროეცესი (ასევე განახლდება არსებული პროექტები)
- გრძელდება პირდაპირი შეხვედრები საზოგადოებასთან და მათი ჩართულობის ინიცირება მაუწყებლის ინოვაციურ ლაბორატორიაში.
- მარკეტინგის და პრომოუშენის გაძლიერება - პროექტების გატანა ქუჩებში, სკოლებში, რეგიონებში.
- მულტიმედიური სისტემის დანერგვა - პროექტებისთვის პერსონალური საიტების შექმნა, ვებ-გვერდებისთვის, სოციალური ქსელებისთვის, რადიოსთვის სპეციალური რუბრიკების და აპლიკაციების გაკეთება.
- ბლოკის ახალი ადამიანური რესურსით, მათ შორის სტაჟიორებით გაძლიერება.

ნაკლოვანებები / სურვილები

- **პროექტების მართვის არადამაკმაყოფილებელი უნარები** - სასურველია ჩატარდეს დამატებითი ტრეინინგები პროექტების მართვის უნარების გაუმჯობესების მიზნით.
- **თანამედროვე ტექნოლოგიების მიმართულებით დაბალი კვალიფიკაცია** - სასურველია ჩატარდეს დამატებითი ტრეინინგები თანამედროვე ტექნოლოგიების უკეთ ათვისების მიზნით.
- **სახელფასო რანჟირებების ნაკლოვანებები** - სახელფასო რანჟირებების რეგულაციის მიზნით განსახორციელებელია მედია წარმოების ბლოკში დასაქმებული ადამიანური რესურსების კვალიფიკაციისა და სამუშაოს მოცულობის ანალიზი, ნაკლოვანების აღმოფხვრის მიზნით.
- **სხვა სტრუქტურულ ერთეულებთან კომუნიკაციის მიმართულებით ნაკლოვანებები** - კომუნიკაციის ფორმების /სტანდარტების დახვეწა
- **პროექტების მულტიმედიალურობა** - საჭიროა ტრეინიგების ჩატარება პროექტების მულტიმედიურობის არსის უკეთ შესასწავლად.

მედიისა და კომუნიკაციის ბლოკი

მარკეტინგის დეპარტამენტი

- **კომუნიკაციების ჯგუფი**

პირველი, მეორე და მესამე კვარტლის განმავლობაში განხორციელებული და მხარდაჭერილი კამპანიები:

საზოგადოებრივი მაუწყებელი იუნესკოს მიერ ორგანიზებულ „მსოფლიო რადიოს დღის“ აღნიშვნას შეურთდა. მომზადდა სპეციალური ვიდეო რგოლები ძველი ქართული ფილმების კადრების გამოყენებით, ვიდეობი გაიტიტრა ინგლისურ ენაზე და განთავსდა სოციალურ ქსელში, მაუწყებლის ვებ გვრდზე და გაიგზავნა იუნესკოში, რასაც მოჰყვა დადებითი გამოხმაურება და საზოგადოებრივმა მაუწყებელმა აღნიშნული აქტივობისტვის მიიღო მადლობის წერილი.

საზოგადოებრივი მაუწყებელი შეუერთდა ფილტვის იდიოპათიური ფიბროზის დაავადების საინფორმაციო კამპანიას. კამპანიის მიზანი იყო საზოგადოების ინფორმირებულობის გაზრდა იშვიათი დაავადების - ფილტვის იდოპათიური ფიბროზის შესახებ.

14 ივნისს საზოგადოებრივი მაუწყებლის პრესცენტრის პრეზენტაცია გაიმართა, რომელზეც მოწვეული იყვნენ პოლიტიკური პარტიების და მედიის წარმომადგენლები.

პრესცენტრის გახსნა საზოგადოებრივი მაუწყებლისთვის წინასაარჩევნოდ მნიშვნელოვანი მოვლენაა, რადგან ამით მაუწყებელმა შექმნა პლატფორმა ყველა პოლიტიკური პარტიისა და გაერთიანებისთვის.

პრესცენტრმა 20 ივნისს დაიწყო ფუნქციონირება და დღემდე გაიმართა 13 ბრიფინგი. პოლიტიკური პარტიების მიერ გამართული პრესკონფერენციები ეთერში გადის მეორე არხის გადაცემაში „ბრიფინგის დრო“.

საზოგადოებრივი მაუწყებელი შეუერთდა სისხლის დონორთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილ კვირეულს და 15 ივნისს ჰემატოლოგიის ინსტიტუტის სისხლის უანგარო დონორთა აქციაში ,,თქვენ დღეს სიცოცხლე გადაარჩინეთ'' ჩაერთო.

მაუწყებლის თანამშრომლებმა უანგაროდ გაიღეს სისხლი, აქციაში მონაწილე თითოეულ პირს და ორგანიზაციას ინსტიტუტის სახელით გადაეცა ,,მადლობის სიგელი''.

23 მაისს საქართველოში რადიომაუწყებლობის დაწყებიდან 91 წელი შესრულდა. საზოგადოებრივმა მაუწყებელმა ეს თარიღი სპეციალური სატელევიზიო ეთერით აღნიშნა. რადიოს დაბადების დღის აღსანიშნავად დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ მომზადდა ინფორმაცია მედიაში გასავრცელებლად, სოციალურ ქსელში განსათავსებლად და სხვა საკომუნიკაციო წყაროებისთვის.

2016 წლის ზაფხულის ოლიმპიური თამაშების მხარდამჭერმა კამპანიამ 18 მაისს აიღო სტარტი. მომზადდა და გავრცელდა ინფორმაცია სხვადასხვა მედიაში, კამპანიის შესახებ დაიგეგმა არხზე თემის გაშუქების გეგმა. დამატებით უზრნველყოფილ იქნა შემდეგი პრომო მასალების დამზადება: ბრენდირებული მაისურები, პერანგები, სამკერდე ნიშნები.

საზოგადოებრივი მაუწყებლის გუნდი 8 მაისს ლოპოტას ხეობაში გამართულ საქველმოქმედო მარათონს Wings for Life World Run შეუერთდა. მაუწყებელს ადგილზე მოწყობილი ჰქონდა თავისი ლოკაცია, რომელზეც რიგი ღონისძიებები ჩატარდა. ინფორმაცია საზოგადოებრივი მაუწყებლის აქტივობების შესახებ განთავსდა საინფორმაციო სააგენტოების ვებ გვერდებზე, დაიგემა ქროს-პრომოუშენი მაუწყებლის ტელე და რადიო გადაცემების ფარგლებში.

პროექტის „ცხელი ზაფხული საზოგადოებრივზე“ ფარგლებში კოორდინაცია გაეწია მთაწმინდის ტერიოტორიაზე მოწყობილ სივრცეში შაბათ-კვირის აქტივობების ორგანიზებას. მიმდინარე აქტივობების შესახებ, საზოგადოების მოსაზიდად ინფორმაცია პერმანენტულად ვრცელდებოდა და თავსდებოდა ვებ გვერდზე და სოციალურ ქსელში, ასევე დაიგეგმა და განხორციელდა ღონისძიების ქროს პრომოუშენი მაუწყებლის გადაცემებში.

კომუნიკაციების ჯგუფის მიერ მომზადდა ახალი სატელევიზიო სეზონზე განახლებული ფორმატების და ახალი გადაცემების პრესაში, კინოთეატრებში და ვებ გვერდებზე (ბანერები, სტატიები, ინეტრვიუები) პრომოუშენის გეგმა. დაგეგმვა განხორციელდა გადაცემების სამიზნე აუდიტორიის გათვალისწინებით, აღნიშნული აუდიტორიისთვის საინტერესო გამოცემებში და ვებ გვერდებზე.

მხარდაჭერა

საზოგადოებრივმა მაუწყებელმა მედიამხარდაჭერა გაუწია კულტურისა და მეცნიერების სფეროში მიმდინარე მნიშვნელოვან ღონისძიებებს, ისეთებს როგორებიცაა: ელექტრონული მუსიკისა და ინოვაციური პოპ-კულტურის ფესტივალს „ელექტრონავტები“, რომლის მიზანიც თანამედროვე ხელოვნებაში და კულტურაში ინოვაციური ფორმების გამოვლენა, მხარდაჭერა და პოპულარიზაციაა. 14 ივნისს კონსერვატორიაში ქართული ფოლკლორის მოსწავლეთა სასახლის ანსამბლ „ერქვანის“ 15 წლის იუბილესადმი მიძღვნილ სოლო კონცერტს. საინფორმაციო მხარდაჭერა გაეწია 15 მაისს მთაწმინდის პარკში გამართულ ღვინის ფესტივალს, რომლის ფარგლებშიც მცირე/ოჯახურმა, საშუალო და დიდმა მარნებმა საქართველოს სხვადასხვა რეგიონებიდან წარმოადგინეს პროდუქტი. საერთაშორისო კონფერენციას „ქალი და ხელოვნება ეკონომიკის განვითარებსითვის“, ღონისძიების ფარგლებში გაიმართა კონცერტი, კინო ჩვენებები და ფოტო გამოფენა და კონკურსი. 5 მაისს ახალგაზრდა ფოტოგრაფთა გაერთიანებული ჯგუფის მიერ გამართულ „კალეიდოსკოპის“ გამოფენას. „მწერალთა სახლის“ მიერ ორგანიზებულ თბილისის მეორე საერთაშორისო ფესტივალს „ლოკალურიდან გლობალურისკენ“.

საზოგადოებრივი მაუწყებლის მხარდაჭერით 12 ივნისს ზაზა დარასელის სახელობის საფეხბურთო ტურნირი გაიმართა. ტურნირში მონაწილეობა მიიღეს საზოგადოებრივი მაუწყებლის და მედიის სხვა წარმომადგენლების გუნდებმა.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ორგანიზებით 17-23 სექტემბერს გამართულ **მეცნიერებისა და ინოვაციების თბილისის ფესტივალი. „მედია კითხულობს ვაჟას“**-ვაჟა ფშაველას 155 წლის იუბილესთან დაკავშირებით ჩარგალში გამართულ ღონისძიებას, რომელშიც

მონაწილეობა მაუწყებლის თანამშრომლებმაც მიიღეს, ღონისძიება ასევე გაშუქდა საზოგადოებრივი მაუწყებლის და საზოგადოებრივი რადიოს გადაცემებში. **კლასიკური მუსიკის IV საერთაშორისო ფესტივალი,** რომლის მუსიკალური ხელმძღვანელიც ელისო ბოლქვაძე არის. პროექტ არქტკავკასიის ფარგლებში ჩატარებულ საეთაშორისო პრინტ ფესტივალს, რომელიც ითვალისწინებდა თანამედროვე ვიზუალური ხელოვნების ერთერთი მნიშვნელოვანი დარგის - ბეჭდვითი მედიის, ხელით ბეჭდვის, პოპულარიზაციას. მედიამხარდაჭერა გაეწია ასევე მუსიკალურ ფესტივალს Open Air. საზოგადოებრივმა მაუწყებელმა მაედიამხარდაჭერა გაუწია 5 ივნისიდან 5 ოქტომბრამდე მიმდინარე ვიზუალურ ფსტივალს „არტრა 2016“, რომელიც მიზნად ისახავს საქართველოს კუთხეებში არსებული სახელოვნებო რესურსებისა და პოტენციალის მობილიზებას, ადგილობრივი ხელოვანებისა და შემოქმედებითი ჯგუფებისთვის წარმოჩენის პლატფორმის შექმნას.

მომზადებული ანგარიშები:

კომუნიკაციების ჯგუფმა მოამზადა 2015 წლის ანგარიში ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმის, გენდერული თანასწორობის საკითხებთან დაკავშირებით შესრულების შესახებ. ანგარიში მოიცავდა მაუწყებლის მიერ გენდერული თანასწორობის საკითხებთან დაკავშირებით მომზადებული მასალების ჩამონათვალს და ქრონომეტრაჟს.

კომუნიკაციების ჯგუფმა მოამზადა სახალხო დამცველის აპარატის მიერ მოთხოვნილი ანგარიში, 2014-2016 წლებისთვის „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფის სამთავრობო სამოქმედო გეგმის“ მიხედვით, საზოგადოებრივი მაუწყებლისთვის დაკისრებული ვალდებულების 2015 წელს განხორციელების შესახებ.

მოქალაქეებთან შეხვედრა და შემოსული წერილები

მოქალაქეები უმეტესად მოგვმართავდნენ შემდეგი პრობლემებით:

სოციალურად დაუცველი ადამიანების და სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფი ოჯახების მდგომარეობა, მათი მონაცემთა ბაზიდან ამოღება და სტატუსის მოხსნა. უმწეოთა სასადილოებში ბენეფიციარების მიმართ არასათანადო მოპყრობა და მათთვის ვადაგასული პროდუქტის შეთავაზება. ისინი საზოგადოებრივი მაუწყებლისგან ითხოვდნენ ამ თემების ინტენსიურად გაშუქებას, იმ ორგანიზაციების დაინტერესების მიზნით, რომლებსაც უშუალოდ ევალებათ სოციალურად დაუცველი ადამიანების დაცვა და მათი პრობლემების მოგვარება. სოციალური დახმარების შეჩერების შედეგად დაზარალებული ადამიანები მოითხოვდნენ მათი პრობლემის გაშუქებას.

აღნიშნულ თემებზე იმუშავეს გადაცემებმა - „რეალური სივრცე“ და „მოამბე“.

საზოგადოებრივ მაუწყებელს ასევე ხშირად მომართავდნენ ახალგაზრდები, რომლებიც თავს მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მიერ დაზარალებულებად თვლიან, მათი ინფორმაციით

რამდენიმე ახალგაზრდამ ამის გამო სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა. აღნიშნულ თემასთან დაკავშირებით გამართული აქციები გააშუქა საინფორმაციო პროგრამა - „მოამბემ“.

გადაცემაში „ეკონომეტრი“ მოწვეული იყო ადვოკატი რომან მიგრიაული, ასევე სიუჟეტები გადაიცა „მოამბით“.

საზოგადოებრივი მაუწყებლისგან გაშუქებას და შესაბამისი სამსახურების მიერ თანადგომას ითხოვდნენ ქართველი ემიგრანტები, რომლებიც მძიმე ვითარებაში არიან, ბევრმა მათგანმა დაკარგა სამუშაო, ზოგიერთს გაუნახევრდა ანაზღაურება.

მაუწყებელს ამ პერიოდში ბევრმა ახალგაზრდამ მომართა დასაქმებასთან დაკავშირებით.

საზოგადოებრივ მაუწყებელს ოჯახში ძალადობის მსხვერპლმა არაერთმა ქალმა მომართა დახმარებისთვის, ისინი ჩიოდნენ სამართალდამცავი ორგანოების არაკომპეტენტურობის და მიკერძოებულობის გამო, ძალადობის მიმართ საპატრულო პოლიციის გულგრილობაზე და მათ მიერ გამოჩენილ სოლიდარობაზე მამაკაცების მიმართ. ამ საკითხთან დაკავშირებით მომართვები ასევე იყო რეგიონებიდან, თუმცა ისინი პრობლემის გაუხმაურებლად, ანონიმურად მოგვარებას ითხოვდნენ.

მუდმივად მოგვმართავდნენ იპოთეკით დაზარალებული ადამიანები, ასევე ოჯახები, რომლებსაც ემუქრებოდა გამოსახლება. ისინი მოითხოვდნენ ჟურნალისტურ გამოძიებას კერძო მევახშეების საეჭვო საქმიანობაზე.

საზოგადოებრივ მაუწყებელთან გაიმართა იპოთეკით დაზარალებულთა აქციები. შეკრებილი იყვნენ ადამიანები, რომელთა უძრავი ქონებაც კომერციული ბანკების, მიკროსაფინანსო ორგანიზაციების, მევახშეების მიერ არის დასაკუთრებული. აღნიშნული მოქალაქეები წლებია დახმარებას ითხოვენ შესაბამისი სამსახურებიდან.

ყველა აღნიშნული თემა შეძლებისდაგვარად გაშუქდა საინფომრაციო პროგრამაში „მოამბე“. აღნიშნულ მასალებზე ასევე იმუშავა „გამომძიებელმა რეპორტიორმა“, „რეალურმა სივრცემ“ და მეორე არხმა.

პრესა

საზოგადოებრივ მაუწყებელში ყოველდღიურად შემოსული ჟურნალ-გაზეთების მონიტორინგი.
მედიაში და მაუწყებელში არსებული ვითარების ამსახველი პუბლიკაციების სისტემატიზაცია და მაუწყებლის შესაბამისი სამსახურებისთვის გაცნობა.

საერთაშორისო მიმართულება

საერთაშორისო მიმართულების სამსახურში მეორე და მესამე კვარტალში ჩატარდა შემდეგი აქტივობები:

- **დოკუმენტური ფილმის „ხელმწიფე“ საერთაშორისო ჩვენება**

- მხარდაჭერა ბელიზის საზოგადოებრივი მაუწყებლის ჩამოყალიბებას
- EBU MIS - ევროპის მაუწყებელთა კავშირის კვლევა
- Placido Domingo კონცერტი
- MDF„მედიის თავისუფლება საქართველოში“
- „ცეცხლის გარდამოსვლის“ პირდაპირი ტრანსალიცია იერუსალიმიდან
- ევროპის საბჭოს ტრეინინგები
- მონაწილეობა EuroDIG -ის ფორუმზე
- მუსიკალურ ნაწარმოებებზე საავტორო უფლებები
- შეხვედრა ODIHR - თან
- საერთაშორისო პროექტის TEDx მედიაპარტნიორობა
- “Thomson Reuters” მოლაპარაკებების წარმოება
- მონაწილეობა EuroDIG -ის ფორუმზე
- ევროპის მაუწყებელთა კავშირის ვებ გვერდზე საზოგადოებრივი მაუწყებლის აქტივობების განთავსება
- შეხვედრა კოალიციასთან „მედიის ადვოკატირებისთვის“ და არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან
- ჩეხეთის საელჩოს ღონისძიებაში მონაწილეობა
- „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“ ტრეინინგში ჩართულობა
- ფინეთის საზოგადოებრივ მაუწყებელში ვიზიტი
- შეხვედრა UNDP - თან
- მედიამონიტორინგის ანგარიშის პრეზენტაციაზე
- ევროკავშირის და ევროპის საბჭოს ერთობლივი ტრეინინგი
- მიმართვა საერთაშორისო ორგანიზაციებს ჟურნალისტების გადამზადებასთან დაკაშირებით წინასაარჩევნოდ
- დოკუმენტური ფილმების ციკლის „ოკუპაცია“ საერთაშორისო ჩვენება
- დოიჩე ველე აკადემიის ტრეინინგები
- დოკუმენტური ფილმის „უკრაინული მოზაიკა“ საერთაშორისო ჩვენება
- MEMO 98-ის კონსულტაციები წინასაარჩევნოდ
- ამერიკის საელჩოს მედია ექსპერტის ვორქშოფი მაუწყებელში
- მიმართვა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს „ჟურნალისტების საზღვრებს გარეშე“ ინიციატივასთან დაკავშირებით
- მოლაპარაკებები რადიო თავისუფლებასთან

ბრენდინგის ჯგუფი

მოცემულ საანგარიშო პერიოდში იყო შესრულებული რიგი პროექტების და ღონისძიებებისა, რომლებმაც ხელი შეუწყო თანამშრომლებში კორპორატიული სულისკვეთების ამაღლებას, შიდა და გარე კომუნიკაციის დამყარებას.

განხორციელებული პროექტებიდან გამოვარჩევდით შემდეგ პროექტებს:

- რადიოს საერთაშორისო დღე. ამ დღის აღსანიშნავად სპეციალურად შეიქმნა კრეატიული ვიდეო რგოლები, რომლებმაც დიდი მოწონება დაიმსახურა. ასევე გაერთიანდა რადიო და ტელე ეთერი, რითაც კიდევ ერთხელ შევახსენეთ ჩვენს მაყურებელს და მსმენელს საზოგადოებრივი მაუწყვებლის მულტიპლათფორმულობა.
- მსოფლიო რბენის დღე. ამ დღისთვის სპეციალურად შეიქმნა აპლიკაცია, დაიბრენდა მარათონში მონაწილე თანამშრომლების აქსესუარები, დამზადდა მარი მალაზონიას ვიდეო რგოლები, ევრო 2016-ის მასკოტი, საზოგადოებრივის ლოკაცია დაიბრენდა ევრო 2016-ით. ამ ერთ დღიანი კამპანით დაპიარდა ,,პირადი ექიმი'' და ევრო 2016-ის ჩემპიონატი საზოგადოებრივზე. აგრეთვე ამ ღონისძიებამ შეკრა თანამშრომლები ერთ გუნდად და დამყარდა პირდაპირი კომუნიკაცია
6000-იან აუდიტორიასთან.
- დაუნის სინდრომის დღე. ეს დღე აისახა სატელევიზიო და ონლაინ პლათფორმებზე, დამზადდა ვიდეო რგოლი, რომელმაც ასევე დაიმსახურა მოწონება ბევრი საერთაშორისო ორგანიზაციის. ვიდეო რგოლში მონაწილე საზოგადოებრივი მაუწყებლის სახეების გამოჩენით, კიდევ ერთხელ შევახსენეთ მაყურებელს ჩვენი მრავალფეროვნება.
- რიოს ოლიმპიადაზე მონაწილე ქართველი სპორცმენების მხარდასაჭერი კამპანია, რომელმაც გააერთიანა ერი.
- ევრო 2016 ჩემპიონატი ფეხბურთში. მთაწმინდის პარკში სპეციალურად მოწყობილი სტუდიები, ხალხისთვის მოწყობილი საყურებელი სივრცე. ამ გრძელვადიანი კამპანიით საზოგადოებრივმა მაუწყებელმა ეკრანებთან გააერთიანა ყველა ფეხბურთის გულშემატკივარი და კიდევ უფრო გაულამაზა ეს მნიშვნელოვანი მოვლენა, რითაც მოიპოვა მაყურებლის ლოიალურობა და დადებითი განწყობა.

ბრენდინგის ჯგუფის მიზანია მოიპოვოს მომხმარებლის გრძელვადიანი უპირატესობა, ლოიალურობა და ნდობა, ასევე მოიპოვოს თანამშრომლების კეთილგანწყობა და გააერთიანოს ისინი. პარალელურ რეჟიმში მიმდინარეობს შეხვედრები, კონსულტაცია/რეკომენდაციები, რომლებიც ხელს შეუწყობს მომხმარებლის მაქსიმალურ ჩართულობას, ინტერაქციას, ნდობის მოპოვებას და გაზრდის ბრენდის მიმართ ლოიალურობას ყველა არსებულ თუ ახალ პროექტებთან დაკავშირებით. ქვემოთ ჩამოთვლილი პროექტებზე მუშაობისას ჩვენ გამოვიყენეთ ინდივიდუალური მიდგომა, მაქსიმალური კომუნიკაციის დამყარებისთვის მიზნობრივ აუდიტორიასთან, ამისათვის განურჩევლად პროდუქტისა ვცდილობთ გამოვკვეთოთ პროდუქტის მთავარი აზრი, რაციონალური და ემოციური სარგებელი და სწორად მივიტანოთ მომხმარებლამდე.

კვლევის და ანალიტიკის სამსახური

- საქართველოს მოსახლეობის ფართომასშტაბიანი რაოდენობრივი კვლევის ჩასატარებლად, წინასწარ შემუშავებული სატენდერო პირობების გათვალისწინებით გამოცხადდა ტენდერი, გამარჯვებულ ორგანიზაციასთან (ბის–სი–ჯი) ერთად შემუშავდა კვლევის ინსტრუმენტი (ანკეტა) და წინასწარ შემუშავებული შერჩევის მიხედვით, ჩატარდა

საპილოტე კვლევა. საპილოტე ეტაპის შედეგებიდან გამომდინარე შემუშავდა ანკეტის საბოლოო ფორმა და ჩატარდა საველე სამუშაოები. კვლევა დასრულდა 2016 წლის მაისში. კვლევის ანალიზის საფუძველზე, მოხდა სატელევიზიო აუდიტორიის სეგმენტაცია, შემუშავდა ფსიქო–მარკეტინგული რუკა, რაც მოიაზრებს პირველი არხის აუდიტორიის პოტენციალის და დანაკარგების გათვალისწინებით, აუდიტორიაზე ეფექტური ზემოქმედების ხერხებს და საშუალებებს. მომზადდა პრეზენტაცია და მაისის ბოლოს წარედგინა არხის ხელმძღვანელობას.

- რაოდენობრივი კვლევის მონაცემების გათვალისწინებით, არხის ხელმძღვანელობასთან ერთად შედგა სამაუწყებლო ბადე, რომლის სტრატეგია მორგებულია მომხმარებლის/აუდიტორიის განაწილებაზე, მათი მოთხოვნების და ინტერესების გათვალისწინებით. ბადის შედგენისას ვითვალისწინებდით აგრეთვე კონკურენტულ გარემოს.

- თებერვალში დაიწყო მასშტაბური პროექტი, რომელიც გულისხმობს საზ. მაუწყებლის პირველი და მეორე არხის გადაცემების მონიტორინგს.

    - პირველ ეტაპზე შემუშავდა სატელევიზიო პროექტების შეფასების კრიტერიუმები, ამ კრიტერიუმების მიხედვით შედგა კითხვარი, რომელიც გაიტესტა პროდიუსერების მიერ. საზ. მაუწყებლის სამეთვალყურეო საბჭოს მიერი შემოთავაზებული მასალის საფუძველზე მომზადდა საბოლოო საექსპერტო კითხვარი.

    - მეორე ეტაპი – მარტიდან დაიწყო საექსპერტო კვლევის ორგანიზება: შეირჩა და მიმართულებების მიხედვით დაკომპლექტდა ექსპერტთა ჯგუფები (სულ 24 ექსპერტი), შეფასების კრიტერიუმების მიხედვით მომზადდა მათთვის კვლევის ინსტრუმენტი (დღიური), შეირჩა გასატესტი გადაცემების ვარიანტები (25 გადაცემის 5 გამოშვება + დოკუმენტური ფილმები) და სამუშაო მასალა დაეგზავნათ ექსპეტრებს. მაისში ჩატარდა საექსპერტო კვლეევის მეორე ნაწილი, ფოკუს–ჯგუფები, მომზადდა პრეზენტაცია და წარედგინა არხის ხელმძღვანელობას და სამეურვეო საბჭოს.

- აგვისტოში ჩატარდა კვლევა პანელური, ჯგუფური დისკუსიის მეთოდით, კვლევის ობიექტი – არხის მიერ შესაძენი სერიალები, ჯგუფის წევრებს გადაეცათ კვლევის ინსტრუმენტი (დღიური) და საკვლევი მასალა (თითო წევრს 3 სერიალი). გასატესტი სერიალები: „მთვარის 2 მხარე“, „ძველი ხიდის საიდუმლო“, „ლარას არჩევანი“, „თამაშის წესები“, „ამბიციური ქალები“, „სიყვარულის გემო“. ჯგუფის წევრებმა უპირატესობა ერთსულოვნად მიანიჭეს სერიალს „ ძველი ხიდის საიდუმლო“. შედეგებიდან გამომდინარე მომზადდა პრეზენტაცია და წარედგინა არხის ხელმძღვანელობას

- სექტემბრის ბოლოს ჩატარდა კვლევა – პანელური, ჯგუფური დისკუსიის მეთოდით. კვლევის ობიექტი – გადაცემა „ეკიპაჟი“. მომზადდა კვლევის ინსტრუმენტი (დღიური) და საკვლევი მასალა (გადაცემის 5 გამოშვება), შეირჩა ჯგუფის წევრები. კვლევის პირველი ეტაპის შემდეგ, დაიგეგმა და ჩატარდა თვისობრივი კვლევის მეორე ნაწილი, ფოკუს–ჯგუფები, სადაც მოწვეულ მაყურებლებს შესაძლებლობა ჰქონდათ უფრო ფართოდ და დაწვრილებით გამოეხატათ თავინათი მოსაზრებები გასატესტ გადაცემებთან და სერიალებთან დაკავშირებით, ჩართულიყვნენ დისკუსიაში. კვლევა დასრულდა ოქტომბრის დასაწყისში მომზადდა პრეზენტაცია და წარედგინა არხის ხელმძღვანელობას

- მარკეტინგის სამსახურის ანალიტიკური ჯგუფი აგრძელებს პირველი და მეორე არხის გადაცემების მონიტორინგს. დაგეგმილია გადაცემების ტესტირება უკვე აპრობირებული,

ჯგუფური დისკუსიის მეთოდით. აგრეთვე, იგეგმება ფართომასშტაბიანი რაოდენობრივი კვლევა საქართველოს მასშტაბით.

- მარკეტინგის სამსახურის ანალიტიკური ჯგუფი აქტიურადაა ჩართული 2017 წლის გადაცემების პროექტების განხილვაში. პროცესი გულისხმობს: წარდგენილი პროექტების შესწავლას, პროდიუსერებთან და გადაცემის ავტორებთან შეხვედრებს, პილოტის განხილვას და ა.შ.

საზოგადოებრივი მაუწყებლის ვებ პორტალი

საზოგადოებრივი მაუწყებლის ონლაინ მედიის ჯგუფი აგრძელებს ვებ გვერდებზე - gpb.ge; 1tv.ge; 2tv.ge; radio1.ge; eurovision-georgia.ge; tqvi.ge - მუშაობა და სხვადასხვა აპლიკაციებზე მუშაობას. ვითვალისწინებთ იმ იდეებს და კომენტარებს, რაც მუშაობის პროცესში გვხვდება. განვახორციელეთ მომხმარებლის ფუნქციების მაქსიმალური ინტეგრაცია.

www.1tv.ge - განთავსებულია პროგრამა „მოამბის“ ახალი ამბების ორენოვანი მრავალწლიანი არქივი კატეგორიების მიხედვით, რომელსაც ახლავს ფოტო და ვიდეო მასალა, ასევე სხვა წყაროებზე დაყრდნობით მნიშვნელოვანი და საინტერესო მასალები, სხვადასხვა გადაცემების ვიდეოარქივი, პოლიტიკური თოქ-შოუებიდან საინტერესო მონაკვეთები, პირდაპირი ეთერი ერთკვირიანი გადახვევის ფუნქციით, ტელეპროგრამა.

საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაციის ხელშეწყობის მიზნით, მომზადდა ვებ-გვერდი ხუთ ენაზე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ, რუსულ), რაც შესაძლებლობას მისცემს მსურველს მის მშობლიურ ენაზე გაეცნოს რეგიონში მიმდინარე საკითხებს http://multitolerant.gpb.ge/

აპლიკაცია

არჩევნებთან დაკავშირებით მომზადდა საარჩევნო აპლიკაცია „არჩევნები 2016“ და განთავსდა Play Store-ზე.

სამომავლო პროექტები:

დაწყებულია ახალი ვებ პორტალის მოსამზადებელი სამუშაოების (ამოცანები, კონცეფცია) განსაზღვრა, Public.ge - ამ პროექტის განხორციელებით მიზნად ვისახავთ ჩვენი გამოცდილების და უახლესი სტანდარტების შერწყმას.

დაწყებულია გადაცემა „რეალური სივრცის“ ახალ პროექტზე მუშაობა.

ასევე ვგეგმავთ:

- აპლიკაციების შექმნას სხვადასხვა მოწყობილობისათვის
- მულტიმედია პროექტების განხორციელებას

საზოგადოებრივი რადიო 1

საანგარიშო პერიოდში საზოგაოებრივმა რადიომ დაიწყო ყოველკვირეული თოქ-შოუ „ქალი და პოლიტიკა“, რომელიც მიზნად ისახავს გენდერული თანასწორობისა და ქალის პოლიტიკურად გაძლიერების ხელშეწყობას.
რადიოს საინფორმაციო სამსახური, როგორც ინტეგრირებული ნიუსრუმის ნაწილი, განსაკუთრებულ რეჟიმში მუშაობდა. აქცენტი გაკეთდა საარჩევნო სუბიექტების პროგრამების გაშუქებაზე. მაქსიმალურად გაშუქდა ყველა პარტიისა და კოალიციის საარჩევნო ღონისძიებები და განცხადებები. საინფორმაციო სამსახურისათვის პრიორიტეტული იყო საარჩევნო პროცესის ყოვლისმომცველი და ამავე დროს სამართლიანი და მიუკერძოებელი გაშუქება. საზოგადოებრივი რადიოს მუშაობა დადებითად შეაფასა მედიამონიტორინგმა (ევროკავშირისა და გაეროს განვითარების პროგრამის მიერ დაფინანსებული პროექტი, „2016 წლის საპარლამენტო არჩევნების მედიაში გაშუქების კვლევა“).
კვალიფიციური სუბიექტების ყრილობები საზოგადოებრივი რადიოს ეთერით 60 წუთის განმავლობაში გადაიცემოდა.
საარჩევნო პროცესების ანალიზს და მიმოხილვას დაეთმო საზოგადოებრივ-პოლიტიკური ყველა პროგრამის ეთერი. თემატურმა გადაცემებმა თავისი რაკურსით გააშუქეს საარჩევნო პროცესები და პროგრამები.
სექტემბერში საზოგადოებრივმა რადიომ კვალიფიციურ სუბიექტებს მათი პროგრამების პრეზენტაციის ცალკე ფორმატი შესთავაზა. 12-30 სექტემბერს, „საზოგადოებრივი რადიო 1“-ის გადაცემებში „ღია სტუდია“ და „საღამოს პიკის საათი“ კვალიფიციური სუბიექტების ლიდერები პირდაპირ ეთერში საუბრობდნენ საარჩევნო პროგრამებზე.
არჩევნების წინა კვირას საზოგადოებრივმა რადიომ პირდაპირ ეთერში გადასცა საზოგადოებრივი მაუწყებლის წინასაარჩევნო დებატები.
საზოგადოებრივი მაუწყებელმა, დაიწყო პროექტი ,,გასაგებ ენაზე ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება ეთნიკური უმცირესობებისთვის“. 20-სთ-იანი „მოამბის“ სომხური და აზერბაიჯანული თარგმანის ჩანაწერები გადის რადიო 1-ის ღამის ეთერში.
საანგარიშო პერიოდში საზოგადოებრივმა რადიომ გადასცა ევროპის საფეხბურთო ჩემპიონატის მატჩების ტრანსლაციები. ჩემპიონატი და ოლიმპიური თამაშები ასევე ინტენსიურად შუქდებოდა სპორტულ პროგრამაში „ესტაფეტა“ და საინფორმაციო გამოშვებებში.
დედოფლის წყაროში ამუშავდა ახალი 200 ვატიანი გადამცემი, რომელიც 91,1 მგჰც სიხშირეზე მაუწყებლობს. ახალი გადამცემის წყალობით „საზოგადოებრივი რადიო 1“-ის მაუწყებლობა გავრცელდა დედოფლის წყაროსა და ნაწილობრივ სიღნაღის რაიონზე. მიუხედავად ამისა, საზოგადოებრივი რადიოს ყველაზე მტკივნეულ პრობლემად კვლავ რჩება მაუწყებლობის არადამაკმაყოფილებელი ხარისხი და მასშტაბები.

ახალი და მიმდინარე ამბების ბლოკი

სტუქტურა

ახალი და მიმდინარე ამბების ბლოკში შედის ახალი ამბების სამსახური, საზოგადოებრივ-პოლიტიკური მიმართულების სამსახური, საგამოძიებო ჟურნალისტიკის ჯგუფი, წარმოებისა და ტექნიკური უზრუნველყოფის ჯგუფი.



ახალი ამბების ბლოკი აგებულია მულტიმედიური სამსახურების პრინციპით. ის ქმნის კონტენტს მაუწყებლის ყველა არხისათვის (1-ლი და მე-2 სატელევიზიო არხები, საზოგადოებრივი რადიო 1) და ინტერნეტისათვის(ვებ-გვერდი, აპლიკაციები, სოციალური მედია).

საერთო ჯამში ახალი ამბების ბლოკში 197 თანამშრომელი მუშაობს: სამსახურების ხელმძღვანელები, პროდუსერები, ტექნიკური პროდუსერები, რედაქტორები, წამყვანები, კორესპონდენტები, კოორდინატორები და სხვ.

1.1. მიზნები და პრინციპები

ახალი და მიმდინარე ამბების ბლოკი, უზრუნველყოფს მაუწყებლის საინფორმაციო პოლიტიკის რეალიზებას:

- უზრუნველყოფს საზოგადოების ობიექტურ ინფორმირებას საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ მიმდინარე მოვლენებისა და საზოგადოებისთვის მნიშვნელოვან საკითხებზე;
- პასუხს აგებს საინფორმაციო გამოშვებების და მიმდინარე ამბების შინაარსზე, რეგიონული მოვლენების მულტიმედიურ გაშუქებაზე;
- უზრუნველყოფს ახალი და მიმდინარე ამბების კრიტიკულ ანალიზს სხვადასხვა მედია ფორმების საშუალებით (რადიო, ტელევიზია, ონლაინ მედია).

ახალი და მიმდინარე ამბების სტრატეგიული მიზანია:

- უზრუნველყოს საზოგადოებრივი მაუწყებლის მისწრაფებებისა და სტრატეგიული მიზნების რეალიზება ახალი და მიმდინარე ამბების მიმართულებით;
- შექმნას საჯარო სივრცე დებატების, დიალოგისა და ანალიზისთვის;
- ხელი შეუწყოს საზოგადოების ჩართულობას, მრავალფეროვნებისა და წარმომადგენლობითობის ასახვას;
- შეინარჩუნოს არსებული და მოიზიდოს ახალი აუდიტორია;
- უზრუნველყოს ახალი და მიმდინარე ამბების მულტიპლატფორმული ხელმისაწვდომობა.

გაჯერებული მედიაბაზრის ფონზე ახალი ამბების სამსახურისათვის მნიშვნელოვანია ინფორმაციის ოპერატიული გავრცელება, თუმცა უფრო მაღალი პრიორიტეტით სარგებლობს მოპოვებული ინფორმაციის სანდოობა და ობიექტურობა. ჩვენთვის ასევე განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მომზადებული ინფორმაციის წყაროთა მრავალფეროვნება.

აქტუალურობას არ კარგავს პასუხი კითხვებზე ვინ, რა, როდის და სად, თუმცა საზოგადოებრივი მაუწყებელი და პირველ რიგში ახალი ამბების ბლოკი თავის მოწოდებად და უპირატესობად მიიჩნევს გასცეს პასუხი კითხვებს: როგორ, რატომ და რა გავლენას ახდენს მოქალაქეზე ესა თუ ის მოვლენა?!

საზოგადოებრივი მაუწყებელი ვალდებულია ასახოს ქვეყანაში არსებული მრავალფეროვნება, შესაბამისად ახალი და მიმდინარე ამბების ბლოკი წარმოაჩენს საზოგადოებაში არსებულ სხვადასხვა ფასეულობასა და იდენტობას, და ამავე დროს ხელს უწყობს მათი ერთიანობის დამკვიდრებას. ახალი ამბების ბლოკი უზრუნველყოფს განსხვავებულ ინტერესთა და საჭიროებათა იდენტიფიცირებას და საკუთარ პროდუქციაში ასახვას. ეს მიმართულება სსმ-ს გამოარჩევს სხვა მაუწყებლებისგან.

საზოგადოებრივი მაუწყებელი ორიენტირებულია საქართველოს თითოეულ მოქალაქეზე, რაც გვაიძულებს შევქმნათ მულტითემატური პროდუქცია. ობიექტური მიზეზების გამო მულტითემატური მრავალფეროვნება განსაკუთრებით თვალსაჩინოა საზოგადოებრივ რადიოში, რომლის პროგრამულ ბადეშიც ათობით ვიწროთემატური გადაცემაა.

საზოგადოებრივის კორპორატიულისარედაქციოღირებულებები ასე გამოიყურება:

- **საზოგადოებრივის** მიზანია, შექმნას რიგი სარედაქციო ღირებულებებისა, რომლებიც მოიცავს სიმართლეს, სიზუსტეს, მიუკერძოებლობას, პასუხისმგებლობას, საზოგადეობრივ ინტერესსა და დამოუკიდებლობას. მას აქვს ვალდებულება, უზრუნველყოს მოსაზრებათა მრავალფეროვნება;
- **საზოგადოებრივს** სჭირდება, შეინარჩუნოს მისი აუდიტორიის მხრიდან ნდობა და პატივისცემა, დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობისა და პატიოსნების გზით. ის უნდა იყოს აუდიტორიისათვის ხარისხისა და ღირებულების მიმწოდებელი, დაფინანსების მისაღებად;
- **საზოგადოებრივის** შინაარსი (კონტენტი) უნდა იყოს მნიშვნელოვანი და მოიცვას ფართო აუდიტორია. მან უნდა ჩადოს შემოქმედებითობა ორგანიზაციის „გულში“;
- **საზოგადოებრივმა** უნდა წაახალისოს გარემო, სადაც ადამიანები პატივს სცემენ ერთმანეთს და ხელს უწყობენ მრავალფეროვნებას. მან უნდა შექმნას ერთიანი სული. როდესაც ჩვენ ერთად ვმუშაობთ, მეტის მიღწევაც შესაძლებელი ხდება.

2. სიახლეები

2.1. არჩევნების გაშუქება

2.1.1. არჩევნების გაშუქების პრინციპები, ამოცანები და მიზნები

კანონმდებლობა საზოგადოებრივ მაუწყებელს ავალდებულებს პარიტეტი დაიცვას კვალიფიციურ სუბიექტებს შორის. მაუწყებლობის შესახებ კანონის 55-ე მუხლში აღნიშნულია: *საზოგადოებრივმა მაუწყებელმა არადისკრიმინაციულად უნდა უზრუნველყოს ყველა კვალიფიციური საარჩევნო სუბიექტის თანაბარი მონაწილეობა წინასაარჩევნო დებატებში.*

პროექტის ***არჩევნები 2016*** დასაწყისში ცესკო-ს დარეგისტრირებული ჰყავდა 11 კვალიფიციური სუბიექტი, თუმცა შემდგომ მათი რაოდენობა 9-მდე შემცირდა.

ამავე დროს, ***საზოგადოებრივმა*** იკისრა ვალდებულება მნიშვნელოვანი ადგილი დაუთმოს იმ არაკვალიფიციურ სუბიექტებს, რომლებმაც 2014 წლის საკრებულოების არჩევნებში, მთელი საქართველოს მასშტაბით, თუნდაც ერთი მანდატი მოიპოვა, მაგრამ მათ არა აქვთ სახელმწიფო დაფინანსება და კანონით უზრუნველყოფილი მედიამხარდაჭერა. პროექტის დასაწყისისათვის ასეთი 12 სუბიექტი იყო. მოგვიენებით ეს შემოთავაზება გავრცელდა ცესკოს მიერ დარეგისტრირებულ ყველა არაკვალიფიციურ სუბიექტზე, რომელთა რაოდენობა იყო 16.

მრავალრიცხოვანი პოლიტიკურ სუბიექტებს შორის პარიტეტის დაცვა სერიოზულ სირთულეებთან იყო დაკავშირებული.

კანონმდებლობით ***საზოგადოებრივი*** ვალდებულია პოლიტიკურ მოვლენებს და პირველ რიგში საარჩევნო კამპანიას საუკეთესო საეთერო დრო დაუთმოს. ამავე დროს, 4-თვიანი საარჩევნო კამპანიის რამდენიმე კვირა დაემთხვა ორ უმნიშვნელოვანეს საერთაშორისო სპორტულ ღონისძიებას, ევროპის საფეხბურთო ჩემპიონატს და ოლიმპიადას.

საზოგადოებრივი წარმოადგენდა ამ ღონისძიებების ექსკლუზიურ პარტნიორს და ამ სპორტული მოვლენების გაშუქების განრიგი წინასწარ იყო გაწერილი. სამწუხაროდ ორივე ღონისძიება იკავებდა 1-ლი არხის პრაიმთაიმს და შესაბამისად დროის ამ მონაკვეთში პოლიტიკური მოვლენების გაშუქების შესაძლებლობა ***საზოგადოებრივს*** მნიშვნელოვნად შეზღუდული ჰქონდა.

შესაბამისად საარჩევნო მოვლენებისათვის სრულფასოვანად საღამოს პრაიმთაიმის დათმობა 22 აგვისტოდან გახდა შესაძლებელი.

2016 წლის არჩევნების მიუკერძოებელი და დაბალანსებული გაშუქება, როგორც ახალი ამბების, ისე მიმდინარე მოვლენების კონტექსტში არის საზოგადოებრივი მაუწყებლისათვის უმნიშვნელოვანესი ამოცანა. ამის გათვალისწინებით, ***საზოგადოებრივმა*** შეიმუშავა პროექტი ***არჩევნები 2016***. პროექტი მიზნად ისახავდა:

- ამომრჩევლის მიერ ინფორმირებული არჩევანის ხელშეწყობას;
- ამომრჩევლის გააქტიურებას;
- პოლიტიკური სუბიექტების პროგრამებისა და აქტივობების მაქსიმალურად და თანაბარ პირობებში გაშუქებას;
- არჩევნების საინფორმაციო მხარდაჭერას;

მიზნების მისაღწევად აუცილებელი იყო მიმდინარე მოვლენათა მიუკერძოებელი, მრავალმხრივი და დაბალანსებული გაშუქება და ანალიზი. პროექტის წინასე ჩამოყალიბდა შემდეგი ამოცანები:

- ჩამოყალიბდეს პლატფორმა, სადაც მომხმარებელს ექნება საშუალება უკეთ გაიცნოს საარჩევნო პროცესებში მონაწელე პოლიტიკური სუბიექტები;
- ხელი შეეწყოს მომხმარებელთან ინტერაქციას სხვადასხვა მედია პლატფორმის საშუალებით;
- უზრუნველყოფილი იყოს თანაბარი პირობები პოლიტიკური სუბიექტებისათვის, მათი კატეგორიების შესაბამისად (კვალიფიციური და არაკვალიფიციური);

- პოლიტიკურ ასპარეზზე არსებული მრავალფეროვნება წარმოჩენა და პლურალისტური გარემოს ჩამოყალიბების ხელშეწყობა;
- პრიორიტეტულია პოლიტიკური სუბიექტების პოლიტიკური პროგრამებისა და პოლისების ანალიზი;
- დემოკრატიული პროცესის განვითარების ხელშეწყობა და არჩევნების მიმართ მოსახლეობაში ინტერესის გაღვივება.

პლატფორმების მიხედვით პროექტის ამოცანები ასე ჩამოყალიბდა:

სატელევიზიო პირველ არხზე, სპორტულ ღონისძიებათა გათვალისწინებით (ევროპის ჩემპიონატი ფეხბურთში 10 ივნისი - 10 ივლისი და მსოფლიო ოლიმპიური თამაშები 5-22 აგვისტო), განისაზღვრა პროექტის ორი ფაზა 28 ივნისი - 5 აგვისტო და 22 აგვისტოდან არჩევნებამდე. შემაჯამებელი საინფორმაციო გამოშვებისა და ანალიტიკური გადაცემების ქრონომეტრაჟის გაზრდა. ფორმატის შექმნა სხვადასხვა ტიპის დებატებისა და პოლიტიკური სუბიექტების პროგრამების პრეზენტაციისათვის;

სატელევიზიო მეორე არხზე ასევე ორი ფაზა ჩამოყალიბდა - 22 აგვისტომდე მეორე არხის პროგრამებში ძირეული ცვლილება არ მოხდა. პირველ ეტაპზე ცვლილება შეეხო ბრიფინგის დროს და არგუმენტების დროს. 22 აგვისტოდან მე-2 არხის სამი გადაცემა ***პოლიტალტერნატივა***, ***თავისუფალი ტრიბუნა*** და ***არგუმენტების დრო*** გაზრდილი ინტენსივობით, განსხვავებული ფორმატით და განახლებული სტუდიიდან გავიდა. პოლიტიკური სუბიექტების აქტივობა ასევე გაშუქდა პროგრამაში „ბრიფინგის დრო“. ეს ფორმატი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო არაკვალიფიციური პოლიტიკური სუბიექტებისათვის;

საზოგადოებრივი რადიო 1-ის პროფილური გადაცემები მიეძღვნა საარჩევნო პროგრამებისა და პროცესის ანალიზს. განხილვაში ინტერაქტიულად ჩართული აუდიტორია და რამაც პარტიების ამომრჩეველთან დიალოგს შეუწყო ხელი.

ვებგვერდი და სოციალური მედია - ამ პლატფორმამ ღრმა და კონსოლიდირებული ინფორმაციის განთავსების შესაძლებლობა მოგვცა. განსაკუთრებით აღსანიშნავია, აპლიკაცია „არჩევნები“, რომელიც სპეციალურად არჩევნებისათვის შეიქმნა

2.1.2. სამოქმედო გეგმა და მისი განხორციელება

ზემოჩამოთვლილი ამოცანებიდან გამომდინარე ***საზოგადოებრივის*** სამუშაო ჯგუფმა შეიმუშავა არჩევნების გაშუქების სამოქმედო გეგმა, რომელიც პლატფორმების მიხედვით ასე გამოიყურება:

<u>**პირველი არხი:**</u> საზოგადოებრივ-პოლიტიკური ანალიტიკური პროგრამა ***მთავარი*** საარჩევნო კამპანიის პერიოდში გაზრდილი ქრონომეტრაჟით, ასევე შეცვლილი და მრავალფეროვანი ფორმატით წარსდგა. სპორტული ღონისძიებების რეპორტაჟებით შეზღუდული მონაკვეთების გამოკლებით წინასაარჩევნო პერიოდში ***პირველმა არხმა*** ორ ეტაპად იმუშავა. პირველი ეტაპი მოიცავდა პერიოდს 28 ივნისიდან 5 აგვისტომდე. ამ დროის განმავლობაში ევროპის საფეხბურთო ჩემპიონატისაგან გათავისუფლდა საღამოს პრაიმთაიმი, 5 აგვისტოს კი ეს ზოლი ოლიმპიადამ დაიკავა. მეორე ეტაპი კი ოლიმპიადის დასრულებისთანავე, 22 აგვისტოს, დაიწყო.

<u>***28 ივნისი-5 აგვისტო***</u> - პროგრამებმა ***მთავარი*** და ***ინტერVIEW*** შეცვლილი ფორმატით და ქრონომეტრაჟით განაახლეს მუშაობა.

	ორშაბათი	სამშაბათი	ოთხშაბათი	ხუთშაბათი	პარასკევი	შაბათი	კვირა
20:00	მოამბე	მოამბე	მოამბე	მოამბე	მოამბე	მოამბე	კვირის მოამბე
20:50	მთავარი	მთავარი	მთავარი	ინტერVIEW	მთავარი		
21:30	სერიალი	სერიალი	სერიალი	სერიალი	სერიალი		

თოქ-შოუების ზოლის ქრონომეტრაჟი 40 წუთამდე გაიზარდა. გაიზარდა პროგრამის ინტენსივობა და ***მთავარი*** კვირაში სამის ნაცვლად 4-ჯერ გადიოდა (ორშაბათი, სამშაბათი, ოთხშაბათი, პარასკევი). ხუთშაბათს ეთერში გადიოდა ***ინტერVIEW***. თოქ-შოუების ზოლი ეთერში 20:50 სთ-ზე იწყებოდა.

შეიცვალა ***მთავარის*** ფორმატიც. აქამდე პროგრამა რესპოდენტთან ერთი ერთზე ინტერვიუს რეჟიმში მიმდინარეობდა. ***მთავარი,*** როგორც წესი, 2 ასეთი ინტერვიუსაგან შედგებოდა.

ახალი ფორმატის მიხედვით პროგრამა ერთი ან ორი ბლოკისგან შედგებოდა. პირველ ბლოკში წარმოდგენილი იყო ორი განსხვავებული პოზიციის სტუმარი და მათ შორის დისკუსია. მეორე ბლოკი ეთმობოდა ორ სტუმარს შორის დებატებს, ან წამყვანსა და ერთ რესპოდენტს შორის დიალოგს.

ფორმატის შეცვლის მიზანი იყო საარჩევნო პერიოდში პოლიტიკური თოქ-შოუს ხვედრითი წილის გაზრდა და პოლიტიკურ სუბიექტებს შორის დისკუსიის ელემენტის შემოტანა.

ამავე პერიოდში 40 წუთამდე გაიზარდა თოქ-შოუს ***ინტერVIEW*** ქრონომეტრაჟიც.

<u>22 აგვისტოდან,</u> პირველ არხზე ინტენსიური წინასაარჩევნო პოლიტიკური პრაიმთაიმი დაიწყო. ის გულისხმობდა ზოლს, რომელიც 20:00 საათზე 90-წუთიანი ***მოამბით*** იწყებოდა და შემდეგ 1-2-საათიანი თოქ-შოუთი გრძელდებოდა.

მანამდე ***მოამბის*** არსებული 40-წთ-იანი ფორმატი საარჩევნო პროცესების ყოვლისმომცველი გაშუქების საშუალებას არ იძლეოდა. გარდა ამისა, იმის გათვალისწინებით, რომ თოქ-შოუები ორიენტირებულნი იყვნენ საარჩევნო პროგრამების და საარჩევნო სიების პრეზენტაციასა და ანალიზზე, აუცილებელი იყო ფორმატის შექმნა, მიმდინარე მოვლენების, პირველ რიგში საარჩევნო პროცესების, უფრო ღრმა გაშუქებისა და ანალიზისათვის.

ამ მიზნით შეიქმნა 20:00-სთ-იანი ***მოამბის*** ახალი ფორმატი. ***მოამბის*** პირველი 60 წუთი შემაჯამებელი საინფორმაციო გამოშვების ფორმატს ეთმობოდა. გაზრდილმა ქრონომეტრაჟმა საარჩევნო სუბიქეტების აქტივობების უფრო ვრცლად და დაბალანსებულად გაშუქების შესაძლებლობა მოგვცა. გადაცემის მეორე 30-წთ-იანი ნაწილი ინტერვიუს რეჟიმში მიმდინარეობდა. ეს უკანასკნელი დღის უმნიშვნელოვანეს თემებს ეძღვნებოდა, რომელთა შორის არჩევნების თემები დომინირებდა.

აღსანიშნავია,რომ 20:00-სთ-იანი ***მოამბის*** გამოშვება პარალელურად მეორე სატელევიზიო არხზეც გადიოდა. პირველად საქართველოს ისტორიაში საინფორმაციო გამოშვება სინქრონულად ითარგმნებოდა და ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებს ***მოამბის*** მშობლიურ ენაზე მოსმენის საშუალება ჰქონდათ. ამ პროექტის თაობაზე უფრო დეტალურად ქვემოთ ვისაუბრებთ. გარდა ამისა, ყველა პროგრამას ასევე თან ახლდა სურდო თარგმანი.

საერთო ჯამში 22 აგვისტოდან საღამოს საარჩევნო ზოლი ასე გამოიყურებოდა:

	ორშაბათი	სამშაბათი	ოთხშაბათი	ხუთშაბათი	პარასკევი	შაბათი	კვირა
20:00	მოამბე	მოამბე	მოამბე	მოამბე	მოამბე	მოამბე	კვირის მოამბე
21:30	მთავარი	ინტერVIEW	მთავარი	ინტერVIEW	რეალური სივრცე (2 სთ)		
22:30							

22 აგვისტოს საზოგადოებრივ მაუწყებლში ჩატარდა ***კენჭისყრა***, რომელზეც ***მაუწყებლის*** საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ტელე თოქშოუებში კვალიფიციური 10 სუბიექტის მონაწილეობის რიგითობა განისაზღვრა. კენჭისყრას ამ პარტიებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები დაესწრნენ.

კენჭისყრით განისაზღვრა პარტიების მონაწილეობის რიგითობა შემდეგ პროგრამებში: ***რეალური სივრცე***, ***მთავარი***, ***ინტერვიუ და ეკონომეტრი.***

საბოლოო ჯამში კენჭისყრის შედეგები ოფიციალური დოკუმენტით და ყველა მხარის ხელმოწერით გაფორმდა.

მოგვიანებით ცესკო-ს გადაწყვეტილებით კვალიფიციურ სუბიექტთა რაოდენობა 9-მდე შემცირდა, შესაბამისად ზემოხსენებულ პროექტს ერთი სუბიექტი გამოეთიშა.

ახალი და მიმდინარე ამბების ბლოკი საარჩევნო მარათონის გაშუქებისას აქცენტს საარჩევნო პროგრამების დეტალურ გაშუქებასა და ანალიზზე აკეთებდა. ამ მიზნის მისაღწევად გადაცემებს შორის საარჩევნო პროგრამების მიმართულებები თემატურად გადანაწილდა.

პროგრამა ***მთავარი,*** 22 აგვისტოდან ყოველ ორშაბათს და ოთხშაბათს გადიოდა. მისი 9 გადაცემა თითო კვალიფიციურ სუბიექტს, მათ საარჩევნო პროგრამებს, სიებს და ძირითად პრიორიტეტებს მიეძღვნა.

ფორმატი გულისმხობდა პოლიტიკური სუბიექტის პროგრამისა და საარჩევნო სიების პრეზენტაციას. პრეზენტაციაში სპიკერის გარდა პარტიების სხვა ლიდერებიც მონაწილეობდნენ.

ყოველი გადაცემა დაიწყო წინასწარ მომზადებული მოკლე სიუჟეტებით პარტიის და მისი ლიდერების აქტივობებისა და ისტორიის შესახებ. გადაცემების ქრონომეტრაჟი 1 საათს შეადგენდა.

პროექტის ***არჩევნები 2016*** ფარგლებში თოქ-შოუს***ინტერVIEW*** ინტენსივობა გაიზარდა და ის ყოველ სამშაბათს და ხუთშაბათს გადიოდა. გაიზარდა მისი ქრონომეტრაჟიც. პროექტის ფარგლებში გადაცემის ავტორი სალომე ასათიანი თბილისში ჩამოვიდა და 22 აგვისტოდან ყველა ინტერვიუ პირდაპირ ეთერში გავიდა. ***ჰარდთოქის*** ფორმატის პროგრამის, სტუმრები იყვნენ კვალიფიციური სუბიექტების ლიდერები. მათი მონაწილების გრაფიკი კენჭისყრით განისაზღვრა.

22 აგვისტოდან პროგრამების ***მთავარი*** და ***ინტერVIEW*** საათობრივ ზოლში ყოველ პარასკევს ეთერში გადიოდა ***რეალური სივრცე***, რომელიც ასევე საარჩევნო თემატიკაზე იყო ორიენტირებული. ***რეალური სივრცე*** არ შედის ახალი და მიმდინარე ამბების ბლოკში, თუმცა ***საზოგადოებრივის*** ამოცანებიდან გამომდინარე მიზანშეწონილად ჩაითვალა, რომ ამ პროგრამას გაეშუქებინა სოციალური თემატიკა არჩევნების კონტექსტში.

22 აგვისტომდე პროგრამის რედაქციამ რეგიონებში მოამზადა სიუჟეტები, რომელშიც კონკრეტული ადამიანის ან ადამიანთა ჯგუფის მწვავე

სოციალური ან საზოგადოებრივი პრობლემა იყო წარმოჩენილი. ყოველ სიუჟეტსა და ამომრჩევლების მიმართვაში კონკრეტული რეგიონისთვის აქტუალურ საკითხებზე გაკეთდა აქცენტი.

სულ პროექტის ***არჩევნები 2016*** ფარგლებში პირდაპირ ეთერში გადაიცა „რეალური სივრცის“ 5 გადაცემა. ყოველ გადაცემაში მონაწილეობდა ყველა კვალიფიციური სუბიექტის თითო წარმომადგენელი. ამავე დროს, ყოველი გადაცემა იყოფოდა 2 ერთსაათიან ბლოკად. თითო ბლოკი ეთმობოდა თითო რეგიონს და მასში 4-5 სუბიექტის წარმომადგენელი მონაწილეობდა. სუბიექტების წარმომადგენელთა ბლოკებში მონაწილეობის გრაფიკი კენჭისყრით განისაზღვრა.

თითოეული ბლოკი იწყებოდა სიუჟეტით, რომელიც ძირითადად რეგიონის შესახებ სტატისტიკურ მონაცემებს წარმოაჩენდა. მასში შეჯამებული იყო ეკონომიკური, სოციალური და ინფრასტრუქტურული სურათი და ბოლო 4 წლის განმავლობაში რეგიონში ჩატარებული სამუშაოები.

გადაცემაში მონაწილე პოლიტიკოსები პასუხობდნენ მოქალაქეების კითხვებს, რომლებიც „რეალურმა სივრცემ“ ადგილზე ჩაწერა. მოქალაქეები მათ რეგიონებში ან დასახლებულ პუნქტებში შექმნილ პრობლემებზე საუბრობდნენ, და მიმართავდნენ კითხვით პოლიტიკოსებს - როგორ აპირებდნენ ამ პრობლემების გადაჭრას. ყოველი საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენელს ამომრჩევლისათვის პასუხის გასაცემად ჰქონდა 90 წამი, რომლის შემდეგაც მიკროფონი ავტომატურად ითიშებოდა.

პროექტის ***არჩევნები 2016*** ფარგლებში საარჩევნო პროგრამების პრეზენტაციას და ანალიზს ასევე მიეძღნა პროგრამა ***ეკონომეტრი***. საარჩევნო ***ეკონომეტრი*** ეთერში გადიოდა სამშაბათსა და ხუთშაბათს. მისი მთლიანი ქრონომეტრიაჟი 21-23 წუთს შეადგენდა. გადაცემები დაიწყო 30 აგვისტოს, როგორც კენჭისყრით იყო დაგეგმილი და დასრულდა 30 სექტემბერს. თითო საარჩევნო ***ეკონომეტრი*** თითო კვალიფიციურ სუბიექტებს დაეთმო. ყველა პარტიას წინასწარ დაეგზავნა გადაცემის ძირითადი საკითხები. თითოეული სუბიექტის მხრიდან გადაცემაში 1 ან 2 წარმომადგენელი მონაწილეობდა.

<u>მე-2 არხი:</u> მეორე არხი განიხილება საზოგადოებრივი მაუწყებლის ერთიანი საინფორმაციო სამსახურის ძირითად პლატფორმად, რომელიც პოლიტიკური მოვლენების და ფართო პოლიტიკური სპექტრის ღრმად და ყოვლისმომცველად გაშუქების საშუალებას იძლევა. ძირითადი პროექტები შექმნილია პოლიტიკური კონსენსუნსის და პარტიებთან დოკუმენტურად გაფორმებული შეთანხმების საფუძველზე. ამ პროგრამების მუშაობის პრინციპები მათში მონაწილე პარტიების ჩამონათვალი და ეთერში მოწვევის გრაფიკი წინასწარ ცნობილია. ეს პლატფორმა ეფექტურია როგორც კვალიფიციური და ასევე არაკვალიფიციური სუბიექტებისათვის.

წლევანდელი არჩევნებისათვის მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის შემდეგ მე-2 არხის დაფარვის ზონა პირველი არხის იდენტურია. ამ ფაქტმა განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა წელს, რადგან 4-თვიანი საარჩევნო კამპანია დაემთხვა ევროპის საფეხბურთო ჩემპიონატს და ოლიმპიადას. ამის გამო, პირველ არხს პოლიტიკური სეგმენტისთვის პრაიმთაიმის სრულფასოვნად დათმობის საშუალება არ გააჩნდა. ამ შემთხვევაში მე-2 არხის, როგორც პრაქტიკულად მთლიანად საინფორმაციო-პოლიტიკური პლატფორმის მნიშვნელობა გაიზარდა.

22 აგვისტოდან მე-2 საინფორმაციო-პოლიტიკური პროგრამების ფორმატი და ინტენსივობა შეიცვალა. პრაიმთაიმში საინფორმაციო მიმართულებას 4 საათი ეთმობოდა:

	ორშაბათი	სამშაბათი	ოთხშაბათი	ხუთშაბათი	პარასკევი	შაბათი	კვირა
18:00	პოლიტალტერნატივა						
19:00	თავისუფალი ტრიბუნა						
20:00	მოამბე	მოამბე	მოამბე	მოამბე	მოამბე	მოამბე	
21:00	არგუმენტების დრო						
22:00							

პოლიტალტერნატივა- პროგრამა, რომელიც მთლიანად არაკვალიფიციურ სუბიექტებს ეძღვნება აქამდე პროგრამა კვირაში სამჯერ გადიოდა. 22 აგვისტოდან ის ყოველდღე გადიოდა. გარდა ამისა, მან ერთი საათით, უფრო რეიტინგულ დროში გადაინაცვლა. ყოველი გადაცემა იყოფოდა ორ 30-წთ-იან ბლოკად. თითოეული ბლოკი თითო არაკვალიფიციურ სუბიექტს ეთმობოდა.

თავისი ფორმატიდან გამომდინარე ***პოლიტალტერნატივა*** არაკვალიფიციური სუბიექტებისათვის ყველაზე ეფექტურ პროგრამას წარმოადგენს ქართულ მედიასივრცეში. ***პოლიტალტერნატივა*** მე-2 არხის პროექტის ***თავისუფალი ტრიბუნის*** ალტერნატივაა არაკვალიფიციური სუბიექტებისთვის. 22 აგვისტოდან ***პოლიტალტერნატივა*** ცესკოს მიერ დარეგისტრირებულ ყველა არაკვალიფიციურ სუბიექტს დაეთმო. პროგრამაში მონაწილეობის რიგი წინასწარი წილისყრით განისაზღვრა.

თავისუფალი ტრიბუნა - პოლიტალტერნატივის მსგავსად ეს პროგრამაც 22 აგვისტოდან ყოველდღიური გახდა. ერთსაათიანი გადაცემა, რომელიც მთლიანად კვალიფიციურ სუბიექტებს ეძღვნება, ეთერში გადიოდა ყოველ სამუშაო დღეს 19:00 სთ-ზე. მთელი გადაცემა ერთ კვალიფიციურ სუბიექტს ეთმობოდა.

საანგარიშო პერიოდიდან ***მოამბე*** 20:00სთ-ზე პირველ და მეორე სატელევიზიო არხზე ერთდროულად გადის.

არგუმენტების დრო- საღამოს თოქ-შოუების ზოლს ***არგუმენტების დრო*** ასრულებს. წინა ორი პროგრამისაგან (პოლიტალტერნატივა და თავისუფალი ტრიბუნა) განსხვავებით ***არგუმენტების დრო*** ფორმატის თვალსაზრისით გაცილებით მოქნილია და ის დღის აქტუალურ თემებზე დისკუსიას ეძღვნება.

22 აგვისტოდან ეს პროგრამა ყოველდღიური გახდა. ამავე დროს, გადაცემის ქრონომეტრაჟი 90-იდან 60 წუთამდე შემცირდა. წარმოდგენილი პროექტი გულისხმობს პოლიტიკური დებატების ფორმატის ჩამოყალიბებას. მისი მიზანია სამოქალაქო და პოლიტიკური დისკუსიის ფარგლებში დაამკვიდროს თანამედროვე პოლიტიკური დებატების ფორმატი საზოგადოებისათვის პრობლემატურ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ-ეკონომიკურ თემებთან დაკავშირებით.

22 აგვისტოდან გადაცემა პოლიტიკურ სუბიექტებს დაეთმო.

ბრიფინგის დრო - ეფექტური პროგრამაა პოლიტიკური სუბიექტების საარჩევნო აქტივობის გასაშუქებლად. 22 აგვისტოდან გადაცემა ეთერში გადიოდა ყოველ დღე 14:00, 15:00, 16:00 და 18:00 საათზე. პროგრამის ქრონომეტრაჟი იყო 60 წთ. აქედან 14 და 16 საათიან გამოშვებებში შუქდებოდა ***საზოგადოებრივის*** პრესცენტრში გამართული პრესკონფერენციები, ხოლო 15 და 18-საათიან გამოშვებებში საარჩევნო სუბიექტების სხვადასხვა ღონისძიებები.

ივნისიდან ეს პროგრამა დაუკავშირდა ***საზოგადოებრივის*** პრესცენტრს, რომელმაც მუშაობა 20 ივნისიდან დაიწყო. 22 აგვისტოდან პრესცენტრი ეთმობოდა მხოლოდ კვალიფიციურ და ცესკოში რეგისტრირებულ პოლიტიკურ სუბიექტებს.

პრესკონფერენციის ჩატარების მსურველი პოლიტიკური სუბიექტები რეგისტრირდებოდნენ ინტერნეტის მეშვეობით და ეს პროცესი სრულიად გამჭვირვალე იყო.

თითოეულ პოლიტიკურ სუბიექტს პრესცენტრში ეთმობოდა 20 წუთი. პრესკონფერენციის 10-წთ-იანი დაუმონტაჟებელი მონაკვეთი თავსდებოდა პროგრამაში „ბრიფინგის დრო“, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოცემულ საარჩევნო სუბიექტს იმ დღეს ისედაც ეთმობოდა მე-2 არხის, რომელიმე პროგრამის საეთერო დრო. ეს ჩანაწერები ასევე ოპერატიულად განთავსდა ვებგვერდზე, საიდანაც დაინტერესებულ პირებს ამ მასალის გადაწერა შეუძლიათ.

ეპიცენტრი - პროექტის არჩევნები 2016 წინასაარჩევნო პერიოდში გაიმართა 3 გადაცემა. ეს გადაცემები არასამთავრობო და საერთასორისო ორგანიზაციებთან ერთად არჩევნების მონიტორინგისა შეფასების თემას მიეძღვნა. გადაცემის ფორმატიც შეიცვალა. არასამთავრობო ორგანიზაციების 3-3 წარმომადგენელი თანაწამყვანის ფუნქციებს ითავსებდნენ. გადაცემაში მონაწილეობდნენ საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის, საერთაშორისო გაჭვირვალობისა და სამართლიანი არჩევნების წარმომადგენლები.

<u>საზოგადოებრივი რადიო 1:</u> პროექტში ***არჩევნები 2016*** მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა, ***საზოგადოებრივი რადიო 1***-მა. ეს პლატფორმა თემატური გადაცემების მიხედვით საარჩევნო პროგრამების დეტალური განხილვის შესაძლებლობას იძლევა. ასევე გასათვალისწინებელია ინტერაქტივი რაც განხილვაში საზოგადოების ჩართვასა და პარტიების ამომრჩეველთან დიალოგს უწყობს ხელს.

წინასაარჩევნო პერიოდში რადიოს საინფორმაციო სამსახური, როგორც ინტეგრირებული ნიუსრუმის ნაწილი, განსაკუთრებულ რეჟიმში მუშაობდა. ერთიანი დაგეგმვის პირობებში აქცენტი გაკეთდა საარჩევნო სუბიექტების პროგრამების გაშუქებაზე. მაქსიმალურად გაშუქდა ყველა პარტიისა და კოალიციის საარჩევნო ღონისძიებები და განცხადებები.

საინფორმაციო სამსახურისათვის პრიორიტეტული იყო საარჩევნო პროცესის ყოვლისმომცველი და ამავე დროს სამართლიანი და მიუკერძოებელი გაშუქება. საზოგადოებრივი რადიოს მუშაობა დადებითად შეაფასა მედიამონიტორინგმა.

ევროკავშირისა და გაეროს განვითარების პროგრამის მიერ დაფინანსებული პროექტის, „2016 წლის საპარლამენტო არჩევნების მედიაში გაშუქების კვლევა“, ფარგლებში რადიოარხების მონიტორინგი ხორციელდება. კვლევის მიზანია რადიომაუწყებლებს, პოლიტიკოსებს, ადგილობრივ თუ საერთაშორისო ორგანიზაციებს და მთლიანად საზოგადოებას მასმედიის მიერ წინასაარჩევნო კამპანიის მიმდინარეობის გაშუქებასთან დაკავშირებით ინფორმაცია მიაწოდოს.

მედიამონიტორინგის ანგარიშში აღნიშნულია, რომ „საზოგადოებრივი რადიო 1-ის“ საინფორმაციო გამოშვებები მიუკერძოებელი იყო და ჟურნალისტები ეთიკური სტანდარტების დაცვით მუშაობდნენ.

ამავე დროს, მედიამონიტორინგში აღნიშნული იყო შენიშვნებიც. კერძოდ მონიტორები აცხადებდნენ, რომ გაშუქება არ იყო სიღრმისეული. აღსანიშნავია, რომ ეს შენიშვნა მონიტორებს ჰქონდათ ყველა რადიოს მიმართ. ჩვენ შემთხვევაში ეს შენიშვნები გამოწვეულია მონიტორინგის მეთოდოლოგიით და არა რადიოს

მუშაობის ხარვეზებით. მონიტორინგი შეეხო, მხოლოდ 19:00-სთ-იან მცირეფორმატიან საინფორმაციო გამოშვებას. მისი ფორმატი რაიმე სიღრმისეული გაშუქების შესაძლებლობას არც ითვალისწინებს. სამაგიეროდ მონიტორინგმა არ მოიცვა რადიოგადაცემები - ფორმატი სადაც სხვადასხვა საკითხების სიღრმისეული განხილვა ხდება.

ამ მიზეზების გამო მედიამონიტორინგის შენიშვნები რადიოსთან მიმართებაში აშკარად შეუსაბამოა. ასე მაგალითად, დასკვნაში წერია, რომ „რადიო 1“-ის „ჟურნალისტები უმცირესობების პრობლემებს ნაკლებ ყურადღებას უთმობდნენ“. არადა საუბარია რადიოზე, რომელსაც უმცირესობების ენებზეც მაუწყებლობს და უმცირესობების თემატიკაზე ცალკე ყოველკვირეული გადაცემაც გააჩნია.

საარჩევნო პროცესების ანალიზს და მიმოხილვას დაეთმო საზოგადოებრივ-პოლიტიკური ყველა პროგრამის ეთერი. თემატურმა გადაცემებმა თავისი რაკურსით გააშუქეს საარჩევნო პროცესები და პროგრამები. მაგალითად „ჩვენი საქართველოს“ გადაცემებში გაშუქდა ისეთი საკითხები როგორიცაა ეთნიკური უმცირესობების არჩევნებში ჩართულობა, რამდენად წარმოდგენილია მოსახლეობის ეს ჯგუფი საარჩევნო სიებში და მათ პრობლემები რამდენად აისახა საარჩევნო პროგრამებში. პროგრამამ „უფლება და თავისუფლება“ ყურადღება გაამახვილა საარჩევნო პროცესისა და პროგრამების უფლებადაცვით საკითხებზე, ხოლო პროგრამამ „ერთად ევროპისაკენ“ ევროინტეგრაციის საკითხებზე. ანალოგიურის თქმა შეიძლება სხვა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ გადაცემებზეც.

ამავე დროს, საარჩევნო კამპანიის გაშუქებაზე ძირითადი დატვირთვა მოვიდა ორ ყოველდღიურ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ თოქშოუზე „საღამოს პიკის საათი“ და „ღია სტუდია“. გადაცემის სტუმრები იყვნენ პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები, დამოუკიდებელი კანდიდატები, ექსპერტები, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები. ყველა ეს გადაცემა იყო ინტერაქტიული და მსმენელებს რესპოდენტებისათვის კითხვების დასმის ასევე თავისი პოზიციის დაფიქსირების შესაძლებლობა ჰქონდათ. გადაცემები მიეძღვნა როგორც ზოგადად წინასაარჩევნო პროცესების და ტენდენციების ანალიზს და მონიტორინგს, ასევე კონკრეტული სუბიექტების ყრილობებსა და პროგრამებს.

სექტემბერში საზოგადოებრივმა რადიომ კვალიფიციურ სუბიექტებს მათი პროგრამების პრეზენტაციის ცალკე ფორმატიც შესთავაზა.

ხელახალი კენჭისყრის თავიდან აცილების მიზნით გადაცემაში სუბიექტების თანმიმდევრობის დასადგენად გამოვიყენეთ 22 აგვისტოს უკვე ჩატარებული წილისყრის შედეგები. საუბარია პირველი ტელეარხის ძირითად პლიტიკურ თოქშოუებზე „მთავარი“ და „ინტერვიუ“ („რეალური სივრცის“ კენჭისყრის შედეგები რადიოგადაცემების ფორმატს არ მიესადაგებოდა, ხოლო „ეკონომეტრი“ არ წარმოადგენს პოლიტიკურ თოქ-შოუს).

ამავე დროს, ტელე და რადიო არხებზე სუბიექტების ერთდროული დაპატიჟების თავიდან ასაცილებლად რადიოში თანმიმდევრობა უკუღმა ავითვალეთ (1-ლი სტუმარი გახდა მე-9 და ა.შ.).

12-30 სექტემბერს, ყოველ ორშაბათს, ოთხშაბათსა და პარასკევს, „საზოგადოებრივი რადიო 1“-ის გადაცემებში „ღია სტუდია“ (14:10-14:50) და „საღამოს პიკის საათი“ (17:10-17:50) 8 კვალიფიციური სუბიექტის ლიდერები პირდაპირ ეთერში საუბრობდნენ საარჩევნო პროგრამებზე. გადაცემები გაიმართა ერთი ერთზე ინტერვიუს ფორმატით, პლუს ინტერაქტივი. გადაცემის მეორე ნახევარში, სამ მსმენელს (მსმენელთა შერჩევა არ ხორციელდებოდა) პარტიის წარმომადგენლისათვის პირდაპირ ეთერში კითხვის დასმის საშუალება ჰქონდა.

პრეზენტაციების თემატიკა გაიყო. „ღია სტუდიაში“ აქცენტი გაკეთდა საარჩევნო პროგრამების სოციალურ, ჯანდაცვისა და განათლების საკითხებზე, „საღამოს პიკის საათი“ კი დაეთმო ზოგად პოლიტიკურ, უფლებადაცვით, სამართლებრივ და ეკონომიკურ პროგრამებს.

პროექტის მსვლელობისას განსაკუთრებით მაღალი იყო აუდიტორიის აქტივობა.

პოლიტიკური სუბიექტების ყრილობების ტრანსლირება - ჯერ კიდევ წინა საანგარიშო პერიოდში საზოგადოებრივმა მაუწყებელმა კვალიფიციურ სუბიექტებს ყრილობების პირდაპირ ტრანსლაცია შესთავაზა. სუბიექტების ნაწილმა ამ შეთავაზებით ისარგებლა და მათ ყრილობები საზოგადოებრივი რადიოს ეთერით 60 წუთის განმავლობაში გადაიცემოდა.

ინტერნეტ პლატფორმა: საანგარიშო პერიოდში შეიქმნა აპლიკაცია „არჩევნები“. ის ხელმისაწვდომი იყო სმარტფონების მფლობელთათვის. მისი მეშვეობით მომხმარებელს შეეძლო ოპერატიულად მიეღო არჩევნებთან დაკავშირებული კონსოლიდირებული ინფორმაცია.



ყველაფერი არჩევნების შესახებ! გადმოწერეთ საზოგადოებრივის სპეციალური აპლიკაცია თქვენს სმარტფონში და მიიღეთ პირველებმა უახლესი და ობიექტური ინფორმაცია 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების შესახებ!

ამ აპლიკაციის შექმნა მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო ინტერნეტის როგორც პრიორიტეტული პლატფორმის ჩამოყალიბების გზაზე. მიღებული გამოცდილების საფუძველზე შეიქმნება ახალი აპლიკაციები, რომლებიც იქნება ***საზოგადოებრივის*** ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი და ეფექტური პროდუქტი.

<u>პროექტის გამჭვირვალობა</u> - პროექტის ***არჩევნები 2016*** უმნიშვენლოვანესი ელემენტი იყო მისი გამჭვირვალობა. პროექტი თავიდანვე გაეცნო პოლიტიკურ სუბიექტებს და არასამთავრობო სექტორს. პროექტის გარკვეულ სეგმენტებთან დაკავშირებით (დებატები, საარჩევნო პროგრამების პრეზენტაცია, ტელე-რადიო პროგრამებში მონაწილეობის პირობები) გაფორმდა დეტალური შეთანხმება, რამაც მოსალოდნელი გაუგებრობები თავიდან აგვაცილა. მნიშვნელოვანია, რომ სუბიექტების მონაწილეობა პროგრამებში წინასწარ განსაზღვრული წესით დაიგეგმა. ჩატარდა წილისყრა.

2.2. ახალი პროექტები

2.2.1. ქალი და პოლიტიკა

საანგარიშო პერიოდში საზოგაოებრივმა რადიომ და არასამთავრობო ორგანიზაციამ „საზოგადოებრივ ინიციატივათა ჯგუფი“ აშშ განვითარების სააგენტოს USAID-ის და საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდის IFES-ის მხარდაჭერით დაიწყეს პროექტი „ქალი და პოლიტიკა“.

პროექტი „ქალი და პოლიტიკა“ მიზნად ისახავს:

- გენდერული თანასწორობისა და ქალის პოლიტიკურად გაძლიერების ხელშეწყობას;
- მოსახლეობის ფართო ფენების ჩართვის ხელშეწყობას გენდერსა და პოლიტიკასთან დაკავშირებული საკითების განხილვასა და პოპულარიზაციაში;
- ქალთა პოლიტიკაში ჩართულობასთან დაკავშირებით არსებული წინააღმდეგობების იდენტიფიცირებას და საზოგადოების დამოკიდებულებების შეცვლას.

ყოველკვირეული ინტერაქტიული პროგრამის ქრონომეტრაჟია 45 წთ.

2.2.2. გასაგებ ენაზე ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება ეთნიკური უმცირესობებისთვის

საანგარიშო პერიოდში საზოგადოებრივმა მაუწყებელმა რეგიონულ მაუწყებელთ ასოციაციასთან ერთად (GARB), და აშშ-ის საელჩოს მხარდაჭერით, დაიწყო პროექტო, ‚გასაგებ ენაზე ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება ეთნიკური უმცირესობებისთვის“.

საქართველოს ისტორიაში პირველად, საზოგადოებრივი მაუწყებლის ახალი ამბების გამოშვება „მოამბე“ ეთნიკური უმცირესობებისთვის სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე მზადდება. შესაბამის აუდიო ბილიკზე გადართვის შემდეგ მაყურებელს გამოშვებების სინქრონულ თარგმანში მოსმენის საშუალება აქვს..

„მოამბე“ ქართულ, სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე ყოველ საღამოს, 18:00 და 20:00 საათზე, საზოგადოებრივი მაუწყებლის ორივე ტელეარხის პირდაპირ ეთერში გადის.

პროექტი სატესტო რეჟიმში 1-ლი აგვისტოდან მუშაობს.

ანალოგურ რადიო ეთერში რამდენიმე ენის სხვადასხა აუდიო ბილიკზე ერთდროული ტრანსლირება შეუძლებელია, ამიტომ სომხური და აზერბაიჯანული თარგმანის ჩანაწერები გადის რადიო 1-ის ღამის ეთერში.

2014 წლის აღწერის მონაცემებით, საქართველიში 233 000 ეთნიკური აზერბაიჯანელი და 168 000 ეთნიკური სომეხი ცხოვრობს.

2.2.3. აფხაზურენოვანი , ოსურენოვანი და რუსულენოვანი გამოშვებები

22 აგვისტოდან საზოგადოებრივი მაუწყებლის ტელეეთერში გადის საინფორმაციო გამოშვებები აფხაზურ (23:00 საათი), ოსურ (23.30 სთ) და რუსულ (00:00 სთ) ენებზე 26 წთ. ქრონომეტრაჟით. გადაცემა, ბუნებრივია, აწყობილია საზოგადოებრივი მაუწყებლის მთავარი საინფორმაციო გამოშვების მიხედვით, თუმცა, რიგითობის პრიორიტეტები განისაზღვრება იმის შესაბამისად, რომელი ეთნიკური ჯგუფისთვის მზადდება გამოშვება. ეს არის უკვე სრულფასოვანი საინფორმაციო გამოშვებები საკუთარი წარმოებით. სხვადასხვა პერიოდულობით მზადდება სიუჟეტები ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების თემატიკაზე.

2.2.4. ინტერნეტ პლატფორმა ეთნიკური უმცირესობებისათვის

სექტემბერში ამოქმედდა საზოგადოებრივი მაუწყებლის ქოლგის ქვეშ არსებული ვებ-გვერდი ხუთ ენაზე, (multitolerant.gpb.ge). ამ ვებ-გვერდიდან შესაძლებელია 5 ქვე-საიტზე (abkh.gpb.ge; os.gpb. ge; am.gpb.ge; az.gpb.ge; ru.gpb.ge) გადასვლა. ვებ-გვერდის საშუალებით მომხმარებელს საშუალება აქვს, მიიღოს უახლესი ინფორმაცია არამხოლოდ ქვეყანასა და მსოფლიოში მიმდინარე მოვლენებზე, არამედ, გახდეს პროდუქტის თანამონაწილე. ამასთან, საიტზე ატვირთულია უნიკალური საარქივო მასალები.



ამავე გვერდიდან შესაძლებელია გადასვლა შესაბამის ენოვან ფეისბუქის გვერდებზე. უმცირესობების ენებზე შექმნილი პროგრამების ნახვა შესაძლებელია youtube-ზეც, სადაც იტვირთება, როგორც მთლიანი გამოშვებები, ისე ცალკეული ნიუსები და ექსკლუზიური სიუჟეტები.

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ II-III კვარტლის ანგარიში

2.2.5. გამომძიებელი რეპორტიორი

საანგარიშო პერიოდში პროგრამამ ***გამომძიებელი რეპორტიორი***, რომელიც ორივე სატელევიზიო არხით გადის, მაყურებელს ორი ახალი პროექტი შესთავაზა - „სახიფათო თამაშები ვერესთან გრძელდება“ და „რა დაიმალა მაგდა პაპიძის საქმეში". ამ უკანასკნელმა აუდიტორიის განსაკუთრებული ყურადღება გამოიწვია.

2.3. ინტეგრირებული ნიუსრუმის სამოქმედო გეგმის იმპლემენტაცია

საანგარიშო პერიოდში საზოგადებრივმა მაუწყებელმა, მედია საკონსულტაციო ჯგუფის INNOVATION დახმარებით, გააგრძელა სრულად ინტეგრირებული ნიუსრუმის სამოქმედო გეგმის იმპლემენტაცია. INNOVATION-ის კონსულტანტები გრძელვადიანი პერიოდით იმყოფებოდნენ თბილისში და უშუალოდ მონაწილეობდნენ ამ პროცესში.

პირველ რიგში დაიწყო ახალი ვაკანსიების შესაბამისი კანდიდატურების შერჩევა როგორც შიდა ასევე გარე ადამიანური რესურსების მოზიდვით. გამოცხადდა კონკურსი დღის ახალი ამბებისა და დაგეგმვის პროდიუსერების (რედაქტორების) თანამდებობებზე. საბოლოო ჯამში ეს პოზიციები შეივსო შიდა ადამიანური რესურსებით. შეირჩნენ და დაინიშნენ თემატური მიმართულებების (დესკების) ხელმძღვანელები. დაიწყო ვებ-გვერდის რედაქტორების პოზიციებზე კანდიდატების შერჩევა.

პარალელურად ახალი მოდელზე გადაეწყო ერთიანი დაგეგმარების პროცესიც, რომელშიც ინტენსიურად მონაწილეობდნენ INNOVATION-ის კონსულტანტები.

მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა ახალი ნიუსრუმის მშენებლობის მიმართულებით. მერიის არქიტექტურულმა სამსახურმა პროექტი დაამტკიცა და მშენებლობის ნებართვა გასცა. პარალელურად მომზადდა დოკუმენტაცია მშენებლობის ტენდერის გამოსაცხადებლად.

3. პრობლემები

„მოამბის“ სტუდია ვერ უზრუნველყოფს HD ხარისხს და საჭიროებს ტექნიკურ გადაიარაღებას. მსგავსი ცვლილება უკვე განხორციელდა 1-ელ და „კომუნიკატორის“ სტუდიებში. სერიოზულ პრობლემას

წარმოადგენს კამერების ტექნიკური მდგომარეობა. კამერების პარკი მნიშვნელოვან გადახალისებას საჭიროებს. ასევე პრობლემურია პირდაპირ ეთერში ჩართვისთვის განკუთვნილი მოძველებული აპარატურა.

როგორც მე-2 არხის ხელმძღვანელობა აღნიშნავს, თითქმის ყველა პროექტი ხორციელდება წარმოუდგენლად მწირი ტექნიკური და ადამიანური რესურსებით. არხის ხელმძღვანელობამ არაერთხელ მიმართა თხოვნით, მენეჯმენტს, განეხილა და გადაეწყვიტა ის პრობლემები, რომლებიც ხელს უშლის, სასურველი ხარისხის მედიაპროდუქტის წარმოებას.

რადიოს საინფორმაციო სამსახური და საზოგადოებრივ-პოლიტიკური გადაცემების მთავარი პრობლემა უკავშირდება რადიო სიგნალის გავრცელებას. მიუხედავად იმისა, რომ საანგარიშო პერიოდში ***საქართველოს ტელერადიოცენტრმა*** ახალი გადამცემი დააყენა დედოფლისწყაროში პრობლემა მაინც მწვავეა. გავრცელების პრობლემების გამო რადიოპროგრამების აუდიტორია მნიშვნელოვნად მცირდება. ხშირად გადაცემა ეძღვნება რეგიონს ან რაიონს და მიზნობრივი აუდიტორია ამ გადაცემას ვერ ისმენს.

მაუწყებლის მიერ არჩეული მულტიმედიური მაუწყებლობის სტრატეგიის ფონზე აუცილებელია, რომ რადიოს ვიდეოტექნიკა თავსებადი იყოს ყველა პლატფორმასთან. ამისათვის საჭიროა ახალი კამერების, მართვის პულტისა და კომპიუტერული ტექნიკის შეძენა.

რადიოს თანამშრომლები მუშაობენ არადამაკმაყოფილებელ პირობებში. რადიოს რედაქციების ოთახები გასარემონტებელია, ასევე სათანადოდ არ თბება და არ გრილდება. სავალალო მდგომარეობაშია საოფისე ავეჯი.

4. სამომავლო გეგმები

მომავალ საანგარიშო პერიოდში გამოცხადდება ტენდერი ახალი ნიუსრუმის მშენებლობაზე. გაგრძელდება ინტეგრირებული ნიუსრუმის მუშაობის ახალ მოდელზე გადასვლა.

მომავალ საანგარიშო პერიოდში გადამწყვეტ ფაზაში გადავა საარჩევნო პროცესი. მაუწყებელმა დაგეგმა დებატები. 8 ოქტომბრისათვის ასევე დაგეგმილია ერჩევნების უწყვეტ რეჟიმში გაშუქება.

ფინანსების და ადმინისტრაციის ბლოკი

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ მიერ 2016 წლის II კვარტალში საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის აგარიშიდან გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 9 512.5 ათასი ლარი, ხოლო ეკონომიკური საქმიანობიდან - 261.7 ათასი ლარი, სულ 9 774.2 ათასი ლარი.

ხელფასები

2016 წლის II კვარტალში შრომის ანაზღაურების მიზნით საბიუჯეტო სახსრებიდან გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 5 164.2 ათასი ლარი, ხოლო ეკონომიკური საქმიანობიდან 22.8 ათასი ლარი, სულ - 5 187.0 ათასი ლარი.

მივლინებები

2016 წლის II კვარტალში მივლინებების დასაფინანსებლად გაწეულმა საკასო ხარჯმა საბიუჯეტო სახსრებიდან სულ შეადგინა 410.2 ათასი ლარი, ხოლო ეკონომიკური საქმიანობიდან - 8.2 ათასი ლარი, სულ - 418.4 ათასი ლარი.

სამეურვეო საბჭოს ხარჯები

2016 წლის II კვარტალში საბიუჯეტო სახსრებიდან სამეურვეო საბჭოს ხარჯების დასაფინანსებლად დახარჯული იქნა 118.7 ათასი ლარი, ხოლო ეკონომიკური საქმიანობიდან - 3.7 ათასი ლარი, სულ - 122.4 ათასი ლარი.

მონიტორინგის საბჭოს ხარჯები

2016 წლის II კვარტალში მონიტორინგის საბჭოს ხარჯების დასაფინანსებლად სულ დახარჯულ იქნა 23.0 ათასი ლარი.

სხვა ადმინისტრაციული ხარჯები

2016 წლის II კვარტალში ადმინისტრაციული ხარჯების დასაფინანსებლად გაწეულმა საკასო ხარჯმა 528.5 ათასი ლარი შეადგინა. საბიუჯეტო სახსრებიდან დახარჯული იქნა 502.7 ათასი ლარი, ხოლო ეკონომიკური საქმიანობიდან - 25.8 ათასი ლარი.

აღნიშნული ხარჯის ძირითადი ნაწილი მოდის შემდეგ კატეგორიებზე:

- ელ. ენერგია - 61.0 ათასი ლარი;
- წყალი - 14.0 ათასი ლარი;
- ბუნებრივი აირი - 1.2 ათასი ლარი;
- დასუფთავება - 19.6 ათასი ლარი;
- საწვავი (ბენზინი,დიზელი) – 55.3 ათასი ლარი;
- ავტომობილების დაზღვევა - 3.1 ათასი ლარი;
- ტრანსპორტის შეკეთება - სათადარიგო ნაწილები - 40.3 ათასი ლარი;
- სატელეფონო ხარჯები (მობილური ტელეფონები) – 21.4 ათასი ლარი;

- სხვა სატელეფონო ხარჯები - 6.3 ათასი ლარი;
- საფოსტო მომსახურება - 0.6 ათასი ლარი;
- ინტერნეტის ხარჯი - 18.7 ათასი ლარი;
- საკანცელარიო საქონელი - 6.0 ათასი ლარი;
- აუდიტორული მომსახურება - 28.9 ათასი ლარი;
- ოფისის ხარჯი (ჟალუზები) – 24.3 ათასი ლარი;
- დაცვის ხარჯები - 52.8 ათასი ლარი;
- თანამშრომლთა დაზღვევის ხარჯი - 84.4 ათასი ლარი;
- ფართის ქირავნობა/სხვა იჯარა - 5.6 ათასი ლარი;
- წარმომადგენლობითი ხარჯი - 5.5 ათასი ლარი;
- სასამართლი/ბაჟი - 2.2 ათასი ლარი;
- სამშ. სარემონტო სამუშაოები - 19,4 ათასი ლარი;
- ავტომობილის შეძენა - 31,5 ათასი ლარი
- სხვა ხარჯები - 26,4 ათასი ლარი.

მარკეტინგის ხარჯები

2016 წლის II კვარტალში მარკეტინგის ხარჯების დასაფინანსებლად გაწეულმა საკასო ხარჯმა 77.4 ათასი ლარი შეადგინა. საბიუჯეტო სახსრებიდან დახარჯულ იქნა - 66.1 ათასი ლარი, ხოლო ეკონომიკური საქმიანობიდან - 11.3 ათასი ლარი.

- სოციალური კვლევები - 66.1 ათასი ლარი;
- ბრენდირება - 7.6 ათასი ლარი;
- სხვა მარკეტინგის ხარჯები - 3.7 ათასი ლარი;

პროდიუსინგის ხარჯები

მაუწყებლის მიერ 2016 წლის II კვარტალში სხვადასხვა სახის პროდიუსინგის ხარჯებზე საბიუჯეტო დაფინანსებიდან დახარჯული იქნა 1 386.4 ათასი ლარი, ხოლო ეკონომიკური საქმიანობიდან - 87.8 ათასი ლარი. სულ მიიმართა - 1 474.2 ათასი ლარი.

აღნიშნული ხარჯების ძირითად ნაწილი მოდის შემდეგ კატეგორიებზე:

- პირდაპირი ჩართვებისა და ინფორმაციის გადმოგორება (პერეგონები) – 82.4 ათასი ლარი;
- სპორტული გადაცემებისა და ჩემპიონატის ჩვენების უფლებები - 975.9 ათასი ლარი;
- ქართული ფილმების შეძენა (ლიცენზიები) – 3.8 ათასი ლარი;
- უცხოური ფილმების შეძენა (ლიცენზიები) – 175.3 ათასი ლარი;
- ევროვიზიის ჩვენებასთან დაკავშირებული ხარჯები - 66.3 ათასი ლარი;
- გადაცემების მომზადების ხარჯები - 114.9 ათასი ლარი
- ვიზუალური მომსახურება - 19.9 ათასი ლარი
- დეკორაციები - 27.3 ათასი ლარი
- სხვა დანარჩენი საპროდიუსინგო ხარჯები - 8.6 ათასი ლარი;

საინფორმაციო სამსახურის ხარჯები

მაუწყებლის მიერ 2016 წლის II კვარტალში საინფორმაციო სამსახურის დასაფინანსებლად საბიუჯეტო სახსრებიდან დახარჯული იქნა - 120.8 ათასი ლარი, ხოლო ეკონომიკური საქმიანობიდან - 106.5 ათასი ლარი. სულ მიიმართა - 227.3 ათასი ლარი.

მათ შორის აღნიშნული ხარჯის ძირითადი ნაწილი მოდის შემდეგ კატეგორიებზე:

- სატელიტური ჩართვებისა და საინფორმაციო მასალების გადმოგორების ხარჯები - 77.6 ათასი ლარი;

- ინფორმაციის შეძენის ხარჯები - 47.3 ათასი ლარი;
- საკონსულტაცო მომსახურების ხარჯი - 80.6 ათასი ლარი
- სხვა დანარჩენი საინფორმაციო ხარჯები - 21.8 ათასი ლარი.

ტექნიკის ხარჯები

მაუწყებლის მიერ 2016 წლის II კვარტალში საბიუჯეტო სახსრებიდან გაწეული საკასო ხარჯების ოდენობამ შეადგინა - 1 251.7 ათასი ლარი, ხოლო ეკონომიკური საქმიანობიდან - 9.5 ათასი ლარი. სულ მიიმართა - 1 261.2 ათასი ლარი.

აღნიშნული ხარჯის ძირითადი ნაწილი მოდის შემდეგ კატეგორიებზე:

- ტელერადიოცენტრი (სიგნალის გავრცელება) – 270.0 ათასი ლარი;
- სატელიტით მომსახურება 72.6 ათასი ლარი;
- ვებ მაუწყებლობა და სტრიმინგი - 42.0 ათასი ლარი;
- ნათურები და ფილტრები - 4.5 ათასი ლარი;
- კასეტების, დისკების და ელემენტების შეძენა - 161,1 ათასი ლარი;
- სტუდიების სპეც განათება - 245,4 ათასი ლარი;
- ვიდეო აუდიო ტექნიკის სათადარიგო ნაწილები - 162.8 ათასი ლარი;
- კომპიუტერები/სათად. ნაწილები 134.4 - ათასი ლარი;
- კამერები - 24.1 ათასი ლარი;
- ელექტრო მასალები 53.8 - ათასი ლარი;
- კონდენციონერის შესყიდვა/რემონტი - 35,1 ათასი ლარი
- სხვა ტექნიკური ხარჯები - 45,9 ათასი ლარი.

სხვა გადასახდელები

2016 წლის II კვარტალში მაუწყებლის საბიუჯეტო სახსრებიდან აღნიშნულ ხარჯებზე გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა - 468.7 ათასი ლარი, ხოლო ეკონომიკური საქმიანობიდან - 17.1 ათასი ლარი. სულ დახარჯულ იქნა - 485.8 ათასი ლარი.

მათ შორის ძირითადი ნაწილი მოდის შემდეგ კატეგორიებზე:

- მომსახურებაზე გადახდილი დღგ / უკუდაბეგვრის დღგ - 135.0 ათასი ლარი;
- მოგების გადასახადი - 0 ათასი ლარი;
- ქონების გადასახადი - 1.0 ათასი ლარი;
- საავტორო უფლებები - 14.0 ათასი ლარი.
- 26 მაისთან დაკავშირებული ხარჯი - 318.4 ათასი ლარი
- სხვა გადასახდელები - 17.4 ათასი ლარი

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ მიერ 2016 წლის III კვარტალში საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის ანგარიშიდან გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 8 845.9 ათასი ლარი, ხოლო ეკონომიკური საქმიანობიდან - 494.7 ათასი ლარი, სულ 9 340.6 ათასი ლარი.

ხელფასები

2016 წლის III კვარტალში შრომის ანაზღაურების მიზნით საბიუჯეტო სახსრებიდან გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 5 458.8 ათასი ლარი, ხოლო ეკონომიკური საქმიანობიდან 52.2 ათასი ლარი, სულ - 5 511.0 ათასი ლარი.

მივლინებები

2016 წლის III კვარტალში მივლინებების დასაფინანსებლად გაწეულმა საკასო ხარჯმა საბიუჯეტო სახსრებიდან სულ შეადგინა 307.6 ათასი ლარი, ხოლო ეკონომიკური საქმიანობიდან - 3.8 ათასი ლარი, სულ - 311.4 ათასი ლარი.

სამეურვეო საბჭოს ხარჯები

2016 წლის III კვარტალში საბიუჯეტო სახსრებიდან სამეურვეო საბჭოს ხარჯების დასაფინანსებლად დახარჯული იქნა 132.0 ათასი ლარი, ხოლო ეკონომიკური საქმიანობიდან - 3.8 ათასი ლარი, სულ - 135.8 ათასი ლარი.

მონიტორინგის საბჭოს ხარჯები

2016 წლის III კვარტალში მონიტორინგის საბჭოს ხარჯების დასაფინანსებლად სულ დახარჯულ იქნა 23.0 ათასი ლარი.

სხვა ადმინისტრაციული ხარჯები

2016 წლის III კვარტალში ადმინისტრაციული ხარჯების დასაფინანსებლად გაწეულმა საკასო ხარჯმა 551.2 ათასი ლარი შეადგინა. საბიუჯეტო სახსრებიდან დახარჯული იქნა 517.3 ათასი ლარი, ხოლო ეკონომიკური საქმიანობიდან - 33.9 ათასი ლარი.

აღნიშნული ხარჯის ძირითადი ნაწილი მოდის შემდეგ კატეგორიებზე:

- ელ. ენერგია - 131.3 ათასი ლარი;
- წყალი - 20.6 ათასი ლარი;
- დასუფთავება - 24.6 ათასი ლარი;

- საწვავი (ბენზინი,დიზელი) – 55.2 ათასი ლარი;
- ავტომობილების დაზღვევა - 4.2 ათასი ლარი;
- ტრანსპორტის შეკეთება - სათადარიგო ნაწილები - 45.8 ათასი ლარი;
- სატელეფონო ხარჯები (მობილური ტელეფონები) – 19.9 ათასი ლარი;
- სხვა სატელეფონო ხარჯები - 5.4 ათასი ლარი;
- საფოსტო მომსახურება - 0.3 ათასი ლარი;
- ინტერნეტის ხარჯი - 22.7 ათასი ლარი;
- ოფისის ხარჯი (ჟალუზები) – 8.1 ათასი ლარი;
- დაცვის ხარჯები - 52.8 ათასი ლარი;
- თანამშრომლთა დაზღვევის ხარჯი - 82.6 ათასი ლარი;
- წარმომადგენლობითი ხარჯი - 4.0 ათასი ლარი;
- სასამართლი/ბაჟი - 4.3 ათასი ლარი;
- სამშ. სარემონტო სამუშაოები - 36.3 ათასი ლარი;
- სხვა ხარჯები - 33.1 ათასი ლარი.

<u>მარკეტინგის ხარჯები</u>

2016 წლის III კვარტალში მარკეტინგის ხარჯების დასაფინანსებლად გაწეულმა საკასო ხარჯმა 38.6 ათასი ლარი შეადგინა. საბიუჯეტო სახსრებიდან დახარჯულ იქნა - 28.4 ათასი ლარი, ხოლო ეკონომიკური საქმიანობიდან - 10.2 ათასი ლარი.

- სოციალური კვლევები - 28.4 ათასი ლარი;
- ბრენდირება - 4.2 ათასი ლარი;
- სხვა მარკეტინგის ხარჯები - 6.0 ათასი ლარი;

<u>პროდიუსინგის ხარჯები</u>

მაუწყებლის მიერ 2016 წლის III კვარტალში სხვადასხვა სახის პროდიუსინგის ხარჯებზე საბიუჯეტო დაფინანსებიდან დახარჯული იქნა 691.1 ათასი ლარი, ხოლო ეკონომიკური საქმიანობიდან - 153.4 ათასი ლარი. სულ მიიმართა - 844.5 ათასი ლარი.

აღნიშნული ხარჯების ძირითად ნაწილი მოდის შემდეგ კატეგორიებზე:

- პირდაპირი ჩართვებისა და ინფორმაციის გადმოგორება (პერეგონები) – 34.9 ათასი ლარი;
- სპორტული გადაცემებისა და ჩემპიონატის ჩვენების უფლებები - 383.5 ათასი ლარი;
- უცხოური ფილმების შეძენა (ლიცენზიები) – 181.9 ათასი ლარი;
- ევროვიზიის ჩვენებასთან დაკავშირებული ხარჯები - 32.6 ათასი ლარი;
- გადაცემების მომზადების ხარჯები - 25.2 ათასი ლარი
- ვიზუალური მომსახურება - 1.2 ათასი ლარი
- დეკორაციები - 108.0 ათასი ლარი
- სხვა დანარჩენი საპროდიუსინგო ხარჯები - 77.2 ათასი ლარი;
-

<u>საინფორმაციო სამსახურის ხარჯები</u>

მაუწყებლის მიერ 2016 წლის III კვარტალში საინფორმაციო სამსახურის დასაფინანსებლად საბიუჯეტო სახსრებიდან დახარჯული იქნა - 123.6 ათასი ლარი, ხოლო ეკონომიკური საქმიანობიდან - 248.8 ათასი ლარი. სულ მიიმართა - 372.4 ათასი ლარი.

მათ შორის აღნიშნული ხარჯის ძირითადი ნაწილი მოდის შემდეგ კატეგორიებზე:

- სატელიტური ჩართვებისა და საინფორმაციო მასალების გადმოგორების ხარჯები - 80.9 ათასი ლარი;
- ინფორმაციის შეძენის ხარჯები - 40.7 ათასი ლარი;
- დეკორაციების ხარჯი - 44.0 ათასი ლარი
- საკონსულტაცო მომსახურების ხარჯი - 176.7 ათასი ლარი
- სხვა დანარჩენი საინფორმაციო ხარჯები - 30.1 ათასი ლარი.

ტექნიკის ხარჯები

მაუწყებლის მიერ 2016 წლის III კვარტალში საბიუჯეტო სახსრებიდან გაწეული საკასო ხარჯების ოდენობამ შეადგინა - 640.8 ათასი ლარი, ხოლო ეკონომიკური საქმიანობიდან - 4.8 ათასი ლარი. სულ მიიმართა - 645.6 ათასი ლარი.

აღნიშნული ხარჯის ძირითადი ნაწილი მოდის შემდეგ კატეგორიებზე:

- ტელერადიოცენტრი (სიგნალის გავრცელება) – 270.0 ათასი ლარი;
- სატელიტით მომსახურება 174.4 ათასი ლარი;
- ვებ მაუწყებლობა და სტრიმინგი - 42.0 ათასი ლარი;
- მოძრავი სატელიტური სადგურის-ის ქირავნობა - 122.6 ათასი ლარი;
- კომპიუტერები/სათად. ნაწილები 3.0 - ათასი ლარი;
- კამერები - 21.2 ათასი ლარი;
- სხვა ტექნიკური ხარჯები - 12.4 ათასი ლარი.

სხვა გადასახდელები

2016 წლის III კვარტალში მაუწყებლის საბიუჯეტო სახსრებიდან აღნიშნულ ხარჯებზე გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა - 923.3 ათასი ლარი, ხოლო ეკონომიკური საქმიანობიდან - 39.7 ათასი ლარი. სულ დახარჯულ იქნა - 963.0 ათასი ლარი.

მათ შორის ძირითადი ნაწილი მოდის შემდეგ კატეგორიებზე:

- მომსახურებაზე გადახდილი დღგ / უკუდაბეგვრის დღგ - 720.0 ათასი ლარი;
- საავტორო უფლებები - 25.6 ათასი ლარი.

- EBU-ს საწევრო გადასახადი - 177.7 ათასი ლარი
- სხვა გადასახდელები - 39.7 ათასი ლარი

წარმოების და ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახური

1. ცენრალური სააპარატოდან ტელერადიოცენტრს, ოპტიკური გადამცემის საშუალებით მიეწოდა საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხის პროგრამაHD ფორმატში, რომელიც დაემატა არსებულDVBT-2 კონტენტს.ამან საშუალება მისცა საქართველოს მოსახლეობას მიიღოს პირველი არხის პროგრამა მაღალი გარჩევადობის ხარისხით DVBT-2 ტერასტრიული გადამცემების მეშვეობით.
2. ოლიმპიადის გაშუქების უზრუნველსაყოფად, ძველ მეორე სტუდიის სააპარატოში მოეწყო ორი დამოუკიდებელი გახმოვანების სააპარატო, რომელიც დაუკავშირდა პირველი სტუდიის სარეჟისორო სააპარატოს საიდანაც წარმოებდა ოლიმპიადის გაშუქება.
3. დემონტაჟი გაუკეთდა კომუნიკატორისდა „ც“ სტუდიების სააპარატოებში დამონტაჟებულ სატელევიზიო აპარატურას.
4. „ც“ სტუდიაში არსებული სტანდარტული გარჩევადობის სატელევიზიო აპარატურა გადატანილ იქნადა დამონტაჟდა ყოფილ კომუნიკატორის ახლა უკვე მეორე არხის მე-6 სტუდიაში.
5. საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველ სართულზე არსებული ე.წ. „ბრიფინგ-რუმი“ დაუკავშირდა მეორე არხის მე-6 სტუდიის სარეჟისორო სააპარატოს. ამან საშუალება მოგვცა ვაწარმოოთ ბრიფინგ-რუმიდან, როგორც პირდაპირი ეთერი მე-6 სტუდიის გავლით, ასევე ჩაწერები, მისი შემგომ ეთერში გასაშვებად.
6. ზემოაღნიშნული სტუდია დაუკავშირდა ცენტრალურ სააპარატოს და პროგრამის გამომშვებ სააპარატოებს, რისთვისაც საჭირო გახდა დამატებითი საკომუნიკაციო სამუშაოს ჩატარება.
7. ყოფილ კომუნიკატორის სტუდიაში არსებული მაღალი გარჩევადობისHD სატელევიზიო აპარატურა დამონტაჟდა ახალ „ც“ სტუდიის სააპარატოში. აღნიშნული სტუდია დაუკავშირდა ცენტრალურ სააპარატოს და ავიდის ინჯესტ-რუმს.
8. მეორე კორპუსის ე.წ. საბავშვო სტუდიაში ხელახლა დამონტაჟდა ROSS Video-ს წარმოების HD/SDI ვიდეო მიქშერი და JVC-ის ფირმის HD კამერები. ასევე სტუდიაში დამონტაჟდა HD/SDI ვიდეო სიგნალის ჩასაწერად BlackMagic HD/SDI-ს წარმოების დისკ-რეკორდერი. (აღნიშნული სტუდია დაშლილი იყო „ექსპო ჯორჯიაში“ ევრო პარლამენტის სამიტის ჩატარების უზრუნველსაყოფად.)
9. მეორე კორპუსის ე.წ. გურმანიას სტუდიაში დამონტაჟდა სატელევიზიო გადამღები აპარატურა. აღნიშნული სტუდია დაუკავშიდა ამავე კორპუსში განთავსებულ ე.წ. საბავშვო სტუდიას.

საზოგადოებრივი პროგრამების გავრცელების სამსახური, ტექნიკური კონტროლი-მონიტორინგი:

1. საზოგადოებრივი მაუწყებლის და შპს „ტელერადიოცენტრის“ ტექნიკური სამსახურების მიერ ციფრული ტელევიზიის DVB-T2 სახმელეთო ქსელით გავრცელების პლატფორმას დაემატა საზოგადოებრივი მაუწყებლობის 1 სატელევიზიო არხის მაღალი გარჩევადობის ფორმატში გადაცემის შესაბამისი პროფილი. ჩატარდა შესაბემისი ტესტირება და სიგნალების მიწოდების ქსელის მოდიფიკაცია, რამაც საშუალება მოგვცა 2016 წლის ოლიმპიადა გადაცემული ყოფილიყო HD ფორმატში.
2. შპს „საქართველოს ტელერადიოცენტრის“ მიერ სახმელეთო DVB-T2 ქსელით გავრცელებული საზოგადოებრივი მაუწყებლის პროგრამების წვდომა და მოქალაქეების მიერ პროგრამების მიღების ხარისხი არ იყო დამაკმაყოფილებელი საზოგადოებრივი პროგრამების შეღწევადობის თვალსაზრისით. აღნიშნულთან დაკავშირებით მომზადდა მიმართვა საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიისადმი, მოეწყო საკონსულტაციო შეხვედრები და დაიგეგმა სახმელეთო გავრცელების ქსელის გადაცემის პარამეტრების პროფილის ცვლილებების შესაძლო ვერსიები მაღალი შეღწევადობის მისაღწევად. პროგრამების გავრცელების სამსახურის მიერ განხორციელდა პარამეტრების ცვლილებები DVB-T2 ქსელის „ჰედ-ენდში“ და ჩატარდა შესაბამისი გაზომვები მიღებული რეზულტატების შესაფასებლად. ტესტირებისას ჩატარებულმა გაზომვებმა აჩვენა, რომ განხორციელებული ცვლილებები საგრძნობლად აუმჯობესებს საზოგადოებრივი პროგრამების წვდომის ხარისხს, რასაც ადასტურებს მოქალაქეების მხრიდან მინიმუმამდე შემცირებული ჩივილები მაუწყებლის პროგრამების გართულებული მიღების შესახებ.
3. გავრცელების ტექნიკური კონტროლის და მონიტორინგის სამსახურის მიერ შესწავლილ იქნა საზოგადოებრივი მაუწყებლის ტელე და რადიოპროგრამების სხვადასხვა გავრცელების პლატფორმით მიღებისას დაფიქსირებული ხარვეზების სტატისტიკა. შედეგად მიღებული იქნა ზომები მიღების და ინფორმაციის წვდომის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით. მოქალაქეების მიერ მიღების დამატებით ოპციად დაიგეგმა და მომზადდა პარალელური მაუწყებლობის გეგმა „თურქსატის“ სატელიტური პლატფორმით. ამასთან ერთად აგვისტო-სექტემბერში DVB-T2 ქსელის სამაუწყებლო პარამეტრებში განხორციელებული ცვლილებების გამო საგრძნობლად გაუმჯობესებული იქნა სახმელეთო ციფრული ტელევიზიის შეღწევადობა, მათ შორის რთული რელიეფის და ურბანული ტიპის ტოპოგრაფიის მქონე დასახლებებშიც.
4. შესწავლილ იქნა რადიო და ტელე პროგრამების სახმელეთო მაუწყებლობის წყვეტის სხვადასხვა მიზეზები. საზოგადოებრივი მაუწყებლის მოთხოვნით, შპს „ტელერადიოცენტრის“ ადმინისტრაციის მიერ მიღებულ იქნა ზომები ხარვეზების ოპერატიული აღმოფხვრისათვის.

საზოგადოებრივი რადიო, შესრულებული ტექნიკური სამუშაოები:

1. საზოგადოებრივი რადიოს ტექნიკური სამსახურის თანამშრომლების მიერ შესწორდა რადიო 1-ის ავტომატიზაციის პროგრამის სიმღერების მონაცემთა ბაზა.
2. დამონტაჟდა ფეისბუკზე პირდაპირი სიგნალის გაშვების აპარატურა ვებ მაუწყებლობის ნაკადური სერვერი Datavideo NVS-20
3. რადიო 1-ის მისაღებში, გადაცემის მოწვეული სტუმრების ოთახში დამონტაჟდა ეთერის საკონტროლო მონიტორი
4. დაზიანდა რადიო 1-ის საეთერო აუდიო პულტის ერთერთი ფეიდერის ბლოკი, დაზიანების გამო არასაკმარისი გგახდა რადიოს აუდიო კონსოლის შესასვლელების ოდენობა. დადგენილი იქნა მიზეზი და აუდიო პულტის DATEQ BCS 50 ერთ ბლოკში შევცვალეთ დაზიანებული მიკროსქემა THAT 2180 LR
5. ცენტრალური სააპარატოს #2 კომპიუტერს დაუზიანდა ვიდეო ბარათი. ტექნიკური სამსახურის თანამშრომლების მიერ ბარათი შეიცვალა ახლით და დაყენდა შესაბამისი დრაივერი, გაიწმინდა პროცესორისა და კვების ბლოკის ქულერები.
6. რადიომაუწყებლობის ახალი ამბების და სხვა გადაცემების რესპონდენტებთან ცოცხალი ინტერვიუების საეთერო სააპარატოში მისაღებად ტექნიკური სამსახურის მიერ შემუშავებული და დამზადებული იქნა მობილური ტელეფონის ჰიბრიდი.

ფილმების გახმოვანების სტუდია, შესრულებული ტექნიკური სამუშაოები:

1. გახმოვანების ჯგუფში დაზიანდა ვიდეომონიტორი , სარემონტო ჯგუფის თანამშრომლების მიერ დადგინდა, რომ იგი აღდგენას არ ექვემდებარება. მონიტორი ჩანაცვლებულ იქნა ახლით.

სატელიტური გავრცელების პლათფორმა, შესრულებული ტექნიკური სამუშაოები:

1. საზოგადოებრივი ტელე-რადიოარხებით 2016 წლის ოლიმპიადის გაშუქებისათვის და პირდაპირი ტრანსლაციების მისაღებად საჭირო გახდა სატელიტურ ჯგუფში არსებული პროფესიონალური მიმღებების სამუშაო პროგრამებისა და კოდირების ალგორითმების სრული განახლება.
2. ოლიმპიადის მსვლელობის პერიოდისათვის დამატებით დაინსტალირებული იქნა დროებით სარგებლობაში მაუწყებლისათვის ევროპის მაუწყებელთა კავშირის მიერ გამოგზავნილი მაღალი გარჩევადობის სატელიტური მიმღება-დეკოდერი.

ადამიანური რესურსების მართვის სამსახური

2016 წლის მესამე და მესამე კვარტალში ადამიანური რესურსების სამსახურის მიერ შემუშავდა/განხორციელდა:

- პროექტი „ადამიანური რესურსების პოლიტიკის განვითარება მაუწყებელში“.

  სტატუსი: დოკუმენტი წარდგენილი განსახილველად და დასამტკიცებლად.

- პოლიტიკა თანამშრომლის დამადასტურებელი ID ბარათის ფლობისა და მისი განსაზღვრული წესით ტარების შესახებ, რათა შეიქმნას უსაფრთხო და დაცული სამუშაო გარემო.

  სტატუსი: დოკუმენტი წარდგენილი განსახილველად და დასამტკიცებლად.

- დოკუმენტი- სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ ტერიტორიაზე დასაშვები საშვების აღება-ჩაბარების წესები

- პროექტი პროგრამული უზრუნველყოფის აუცილებელი მახასიათებლების შესახებ, რათა გაუმჯობესდეს პროცესების მართვის ტექნიკური მხარდაჭერა.

  სტატუსი: დოკუმენტი წარედგინა შესაბამის სამსახურებს აღსასრულებლად

- თანამშრომელთა და სხვა პირთა სსიპ „საზოგადოებრივ მაუწყებლის“ ადმინისტრაციულ შენობაში შესვლის წესი.
  - **სტატუსი:** დოკუმენტი წარდგენილი განსახილველად და დასამტკიცებლად.

- განახლებული ე.წ. “ტურნიკეტების“ და შესაბამისი ტექნიკური პროგრამისთვის საშვების ბაზის შექმნა/და კორექტირება.
- 2016 წლის 15 იანვრიდან EBU-ს ტრენინგებთან დაკავშირებული ყოველკვირეული საქმიანობის შესრულება: ტრენინგების დაგეგმვა და საორგანიზაციო საკითხების მოგვარება (სატრეინინგო ოთახის უზრუნველყოფა ყველა საჭირო ტექნიკით და საკანცელარიო ნივთებით)
  - ამ ეტაპზე ტრენინგები დასრულებულია, მიმდინარეობს ანგარიშების შეგროვება და შემდგომი ეტაპებისთვის მზადება.

- გახორციელდა სამუშაო აღწერილობების კორექტირება ახალი სტრუქტურის მიხედვით
- საბჭოების (მარკეტინგის საბჭო, სარედაქციო საბჭო და ხარისხის მართვის საბჭო) შექმნის გეგმა და გაიწერა თითოეული საბჭოს მიზანი და შემადგენელი სტრუქტურული ერთეულები;

- საბჭოების იმპლემენტაციისთვის შეხვედრების ორგანიზება და მონიტორინგი;

- საკომუნიკაციო გეგმა, რომელიც მიზნად ისახავდა სტრუქტურის იმპლემენტაციის პროცესის ხელშეწყობას და ასევე გაიწერა საკომუნიკაციო გეგმის სცენარი და სექემბერ-ოქტომბერში განხორციელდა შეხვედრების ორგანიზება მედია წარმოების ბლოკის წარმომადგენლებთან;

- შეფასების სისტემის შესაქმნელად განხორციელდა საკონსულტაციო კომპანიების/პიროვნებების მოძიება;

- საქართველოს საზოგადოებრივ ინსტიტუტთან (GIPA) ერთად განხორციელდა საკადრო პოლიტიკის დოკუმენტის შემუშვება, სადაც გაიწერა შეფასების კრიტერიუმები და რანგირების და ანაზღაურების კატეგორიები სსიპ „საზოგადოებრივ მუწყებლის“ ოთხ თანამდებობრივი პოზიციისთვის: პროდიუსერი, კორესპოდენტი, ოეპრატორი, მემონტაჟე.

- მედია წარმოების ბლოკის ძირითადი თანამდებობების სამუშაო აღწერილობების გადახედვა, დაკორექტირება და ბრძანებით დამტკიცება;

- ბრძანების საფუძველზე მომზადდა და ხელი მოეწერა თითოეული ადამიანისთვის სამუშაო აღწერილობის დოკუმენტს;

- მომზადდა მედია წარმოების თანამშრომლებისთვის შეთანხმება განსხვავებული სამუშაო რეჟიმის შესახებ;

- რებრენდიგთან დაკავშირებით განხორციელდა საშვთა ბაზის მონაცემების განახლება (სექტემბრის თვეში დამუშავდა და შეიქმნა თანამშრომლების ბაზა ფოტო სურათებით და ორ ენოვანი თანამდებობრივი პოზიციის მითითებით (ინგლისური და ქართული).

- სსიპ „საზოგადოებრივ მაუწყებელში“ ცხელი ხაზის პროექტის ფარგლებში განხორციელდა პირველადი ინფორმაციის მოძიება, კადრების მოძიების შესაძლო ვარიანტების შემუშავება, შშმ პირების დამსაქმებელ არასამტავრობო ორგანიზაციასთან შეხვედრის ორგანიზება, სამუშაო აღწერილობის შექმნა და სავარაუდო სამშაო გრაფიკის გაწერა;

- პერსონალის შერჩევა :
    - გამოცხადდა მარკეტინგის სპეციალისტის და კახეთის რეგიონალური კორესპონდენტის ვაკანსია, ჩატარდა გასაუბრებები, შეირჩა კახეთის რეგიონალური კორესპონდენტი, ხოლო მარკეტინგის სპეციალისტის შერჩევა ჯერჯერობით შეჩერებულია
    - გამოცხადდა დღის ახალი ამბებისა და დეგეგმვის პროდიუსერის ვაკანსია. დედლაინის ამოწურვის შემდეგ განხორციელდა შემოსული განაცხადების გადარჩევა და განდიდატებთან გასაუბრება (კადრი ვერ შეირჩა, ვაკანსია გამოცხადდა ხელმეორედ).
    - გამოცხადდა შიდა ვაკანსია გადაცემა „ ყველა კითხვა“
    - გამოცხადდა ვაკანსია შიდა აუდიტის სპეციალისტის პოზიციაზე

- პერსონალის განვითარება:
  ექსელის შემსწავლელი კურსების სასწავლო ცენტრების მოძიება და მსურველთა სიის გაკეთება
    - პროექტის გასახორციელებლად ჯერ-ჯერობით ვერ მოხერხდა საჭირო რესურსების გამოყოფა;

იურიდიული სამსახური

2. სასამართლოში და სააღსრულებო ბიუროში არსებული საქმეების შესახებ

2.1.

სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" წინააღმდეგ საერთო სასამართლოებში არსებული საქმეების ნუსხა :

№	მოსარჩელე	დავის საგანი	საქმის წარმოების სტადია
1.	**ფ/პ გიორგი იასაშვილი**	სსიპ "საქტელერადიომაუწყებლობის" 15.09.2004წ. #726-კ ბრძანების არარა აქტად აღიარება (შეტანილია სასამართლოში რამოდენიმე დაზუსტებული სარჩელი)	_ აღნიშნული მოთხოვნით სარჩელები შეტანილი იქნა როგორც თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში, ასევე, ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში _ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ, მის წარმოებაში არსებული სარჩელები განსჯადობით გადააგზავნა სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში განსახილველად. _ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 8 ივლისის განჩინებით, აღიძრა დავა განსჯადობის შესახებ და შესაბამისად, საქმე გადაეგზავნა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას განსჯადობის დასადგენად.
2.	**ფ/პ გიორგი იასაშვილი**	სსიპ "საქტელერადიომაუწყებლობის" 14.09.2004წ. #724-კ ბრძანების და 15.09.2004წ. #726-კ ბრძანების არარა აქტებად აღიარება (შეტანილია სასამართლოში რამოდენიმე დაზუსტებული სარჩელი)	_ აღნიშნული მოთხოვნით სარჩელები ამ შემთხვევაშიც შეტანილი იქნა როგორც თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში, ასევე, ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში _ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ, მის წარმოებაში არსებული სარჩელები განსჯადობით გადააგზავნა სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში განსახილველად. _ ამჟამად ეს საქმე იმყოფება სამოქალაქო კოლეგიის წარმოებაში და სხდომა ჩანიშნულია 2016 წლის 6 დეკემბერს.
3.	**ფ/პ მამუკა გერმანიშვილი**	სამუშაოზე აღდგენა და განაცდურის ანაზღაურება	_ **თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მიერ სარჩელი დაკმაყოფილდა სრულად.** კომპენსაციის ნაწილში სსიპ "საზოგადოებრივ მაუწყებელს" მ. გერმანიშვილის სასარგებლოდ დაეკისრა იძულებითი განაცდურის ანაზღაურება სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებამდე ყოველთვიურად 2 000 ლარის ოდენობით, ხოლო, სახ. ბაჟის სახით - 120 ლარის ანაზღურება. _ სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" მიერ გადაწყვეტილება გასაჩივრებული იქნა სააპელაციო წესით. _ სააპელაციო სასამართლოს სხდომა დანიშნულია 2016წ. 25 ოქტომბერს
4.	**ფ/პ გიორგი ბაქრაძე**	კომპენსაციის (განაცდურის) ანაზღაურება	_ საქმე იმყოფება თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის წარმოებაში _ დღემდე უცნობია, თუ როდის ჩაინიშნება აღნიშნულ საქმეზე მოსამზადებელი სხდომა.
5.	**ილია ნატროშვილი**	სამუშაოდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილობა, სამუშაოზე აღდგენა და განაცდურის ანაზღაურება	**_ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 6 ოქტომბრის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა.**
6.	**ვახტანგ კანდელაკი**	სამუშაოდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილობა, სამუშაოზე აღდგენა და განაცდურის ანაზღაურება	_ საქმე იმყოფება თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის წარმოებაში _ დღემდე უცნობია, თუ როდის ჩაინიშნება აღნიშნულ საქმეზე სასამართლო სხდომა.
7.	**ეკატერინე**	სამუშაოდან გათავისუფლების	_ საქმე იმყოფება თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო

	მიშველაძე	შესახებ ბრძანების ბათილობა, სამუშაოზე აღდგენა და განაცდურის ანაზღაურება, მორალური ზიანის ანაზღაურება	საქმეთა კოლეგიის წარმოებაში _ სასამართლოს მთავარ სხდომაზე 2016 წლის 11 ოქტომბერს გამოცხადდა შესვენება და სასამართლოს სხდომა განახლდება 2016 წლის 22 ნოემბერს.
8.	**ბესიკ შარაშიძე**	სამუშაოდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილობა, სამუშაოზე აღდგენა და განაცდურის ანაზღაურება	_ საქმე იმყოფება თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის წარმოებაში
9.	**მანანა სარალიძე**	სამუშაოდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილობა, სამუშაოზე აღდგენა და განაცდურის ანაზღაურება	_ საქმე იმყოფება თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის წარმოებაში
10.	**ქეთევან გოგაძე**	სამუშაოდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილობა, სამუშაოზე აღდგენა და განაცდურის ანაზღაურება	_ საქმე იმყოფება თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის წარმოებაში
11.	**გაგა მოდებაძე**	სამუშაოდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილობა, სამუშაოზე აღდგენა და განაცდურის ანაზღაურება	_ საქმე იმყოფება თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის წარმოებაში
12.	**ეკატერინე მაჭავარიანი**	სამუშაოდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილობა, სამუშაოზე აღდგენა და განაცდურის ანაზღაურება	_ საქმე იმყოფება თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის წარმოებაში
13.	**შპს "მათემოტორსი"**	საზოგადოებრივი მაუწყებლის მხრიდან სატენდერო ხელშეკრულების შეწყვეტის უკანონოდ ცნობა და სახელშეკრულებო ურთიერთობის აღდგენა	_ საქმე იმყოფება თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის წარმოებაში

2.2

სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" მიერ საერთო სასამართლოებში აღძრულ სარჩელებთან დაკავშირებით არსებული საქმეების ნუსხა:

№	მოპასუხე	დავის საგანი	საქმის წარმოების სტადია
1.	**შპს "აიბი-ევროკავკასიური უნივერსიტეტი"**	სასპონსორო ხელშეკრულებიდან წარმოშობილი ფულადი დავალიანების - 3 000 აშშ დოლარის და სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებამდე პერიოდისათვის პირგასამტეხლოს ანაზღაურება	**_ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 20.10.2014წ. გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ და მოპასუხეს საზოგადოებრივი მაუწყებლის სასარგებლოდ დაეკისრა:** 1) 2 500 აშშ დოლარი; 2) 1 747,50 აშშ დოლარი; 3) პირგასამტეხლო 2014 წლის 16 მაისიდან სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებამდე 2 500 აშშ დოლარის 0,01%-ის ოდენობით _ სასამართლო გადაწყვეტილებაში დაშვებული იყო ტექნიკური უზუსტობები პირგასამტეხლოს და საპროცესო ხარჯების დაანგარიშების ნაწილში, რომლის გამოსწორების თაობაზე სსიპ "საზოგადოებრივმა მაუწყებელმა" განცხადებით მიმართა სასასამართლოს. **სასამართლოს შესაბამისი განჩინების საფუძველზე, სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" მოთხოვნა დაკმაყოფილდა** **_ სსიპ "საზოგადოებრივმა მაუწყებლის" მიერ შეტანილი იქნა ასევე სააპელაციო საჩივარი.**

			_ სააპელაციო სასამართლოს განჩინებით ძალაში დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 20.10.2014წ. გადაწყვეტილება
2.	**შპს "Georgian Water & Company"**	სასპონსორო მომსახურების ღირებულების გადაუხდელობის გამო ძირითადი დავალიანების სახით 5 000 აშშ დოლარის (ექვივალენტი ეროვნ. ვალუტაში) და სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებამდე პერიოდისათვის პირგასამტეხლოს დაკისრება	_ საქმე იმყოფება თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის წარმოებაში _ დღემდე უცნობია, თუ როდის ჩაინიშნება აღნიშნულ საქმეზე სასამართლო სხდომა.
3.	**შპს "ავტოლუქსი"**	საიჯარო ქირის სახით ძირითადი დავალიანების - 1 897,48 ლარის და სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებამდე პერიოდისათვის პირგასამტეხლოს დაკისრება	_ საქმე იმყოფება თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის წარმოებაში _ ძირითადი დავალიანების ნაწილში სარჩელი დაკმაყოფილდა სრულად. რაც შეეხება პირგასამტეხლოს, სასამართლოს მიერ მისი ოდენობა შემცირდა.
4.	**შპს "კრეატივ ქორნერი"**	საიჯარო ქირის სახით ძირითადი დავალიანების - 1 388,10 ლარის და სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებამდე პერიოდისათვის პირგასამტეხლოს დაკისრება	_ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მიერ მიღებული იქნა დაუსწრებელი გადაწყვეტილება, რითაც სრულად დაკმაყოფილდა სასარჩელო მოთხოვნები. **დავა დასრულებულია**
5.	**ა(ა)იპ "საკალათბურთო კლუბი ვითა"**	სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" მიერ გაწეული მომსახურების ღირებულების გადაუხდელობის გამო ძირითადი დავალიანების - 25 960 ლარის და დარიცხული პირგასამტეხლოს გადახდა.	_ სარჩელი მიღებული იქნა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის წარმოებაში _ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მიერ არ დაკმაყოფილდა სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" განცხადება, რის გამოც, აღნიშნული გადაწყვეტილება გასაჩივრებული იქნა მაუწყებლის მიერ. _ საჩივრის დაუკმაყოფილებლობის გამო, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ საჩივარი საქმესთან ერთად გადააგზავნა თბილისის სააპელაციო სასამართლოში
6.	**შპს "პიართაიმი"**	სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" მიერ გაწეული მომსახურების ღირებულების გადაუხდელობის გამო ძირითადი დავალიანების და დარიცხული პირგასამტეხლოს გადახდა	_ სასამართლოს მიერ სარჩელი არ იქნა მიღებული წარმოებაში, რაც საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ გასაჩივრდა კერძო საჩივრით. **_ სააპელაციო სასამართლოს მიერ კერძო საჩივარი დაკმაყოფილდა და შესაბამისად, სარჩელი მიღებული იქნება პირველი ინსტანციის სასამართლოს წარმოებაში.** **_ გარდა ამისა, ყადაღა დაედო ასევე მოპასუხის ანგარიშებზე განთავსებულ ფულად სახსრებს დავის საგნის ღირებულების ფარგლებში**
7.	**შპს "ტიფლის ტვ"**	საიჯარო ქირის სახით ძირითადი დავალიანების და დარიცხული პირგასამტეხლოს გადახდა, მატერიალური ზიანის ანაზღაურება	_ სარჩელი მიღებული იქნა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის წარმოებაში _ სასამართლომ უარი უთხრა საზოგადოებრივ მაუწყებელს მოპასუხე კომპანიის ანგარიშებზე ყადაღის დადებაზე, რაც გასაჩივრებული იქნა მაუწყებლის მიერ. _ საჩივრის დაუკმაყოფილებლობის გამო, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ საჩივარი საქმესთან ერთად გადააგზავნა თბილისის სააპელაციო სასამართლოში

2.3.

სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" მიერ საერთო სასამართლოებში აღძრულ სარჩელებთან დაკავშირებით დაწყებული სააღსრულებო წარმოება:

- <u>თბილისის სააღსრულებო ბიუროს წარმოებაშია სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" სააღსრულებო ფურცლები (და შესაბამისად, სასამართლო წარმოება დასრულებულია) მოვალეების:</u> **შპს "კიკალა სტუდიო ტვ"-ს, შპს "ნიუ-რაციოს", შპს "ეი-სი ჯგუფი"-ს, "სატელიტური დაცვის სისტემების უზრუნველყოფის ფონდი"-ს, შპს "ფენიქსის", შპს "კინოსტუდია სანგუკო"-ს, შპს "რაქი"-ს, შპს "ლაივ პრომო"-ს, შპს "ტელე-რადიოკომპანია ტვ-7"-ის, შპს "ნონეიმ სტუდიო"-ს, შპს "მილ პოინტი"-ს, შპს "ნ და გ კომპანის", შპს "S.T. იმპორტი"-ს, შპს "აიბი გრუპი"-ს, ი/მ თამარ კოპალიანის, შპს "მედია ჯგუფი"-ს, შპს ტელეკომპანია "პიკ"-ის, შპს "საზოგადოებრივი კოლეჯი 21-ე საუკუნე"-ს, ფ/პ ადა მჭედლიძის, შპს "საერთაშორისო ბიზნეს განვითარების ცენტრი"-ს, შპს "ამპლიტუდა"-ს, შპს "გრინ ბილდინგი"-ს და შპს "კრეატივ ქორნერი"-ს** მიმართ.
- თბილისის სააღსრულებო ბიუროს წარმოებაშია ასევე საქმე გადახდისუუნარობის (გაკოტრების) შესახებ შპს "სქაი ჯორჯია"-ს მიმართ. სასამართლოს მიერ გაკოტრების მმართველად დანიშნულია თბილისის სააღსრულებო ბიურო. სასამართლოში გადახდისუუნარობის საქმის წარმოებისას (რომელიც გაიხსნა სასამართლოს **18.05.2010წ. განჩინებით**), აღნიშნული კომპანიის მიმართ სასამართლოს მიერ აღიარებული იქნა სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" მოთხოვნა მხოლოდ **1 403,23 ლარის** ოდენობით. რაც შეეხება სხვა დავალიანებას, რომელიც შპს "სქაი ჯორჯია"-ს სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" მიმართ წარმოეშვა სარეკლამო მომსახურების საფუძველზე, სასამართლოს მიერ აღნიშნული დავალიანება აღიარებული არ იქნა. შესაბამისად, კანონის თანახმად, სასამართლოში წარდგენილი იქნა სარჩელი სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" სასარგებლოდ შპს "სქაი ჯორჯია"-სთვის **14 318,01 ლარის** დაკისრების შესახებ, რომელიც თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის **15.11.2011წ. გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა სრულად და გადაწყვეტილება შევიდა კანონიერ ძალაში**.
  იმის გამო, რომ გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის დროს უკვე დაწყებული იყო შპს "სქაი ჯორჯია"-ს მიმართ გაკოტრების საქმის წარმოება და გაკოტრების მმართველად დაინიშნა თბილისის სააღსრულებო ბიურო, **მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, სასამართლოს ხელახლა უნდა მოეწვია კრედიტორთა კრება და მიეღო გადაწყვეტილება 14 318,01 ლარის ოდენობით შპს "სქაი ჯორჯიას" მიმართ საზოგადოებრივი მაუწყებლის მოთხოვნის აღიარების თაობაზე**.
  კრედიტორთა კრება თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში მოწვეულ იქნა 2015 წლის ოქტომბერს. იმის გამო, რომ კრედიტორთა კრებას არ ესწრებოდა კრედიტორთა 51%, კრება გადაიდო 28 ოქტომბერს.
  განმეორებითი კრედიტორთა კრება თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში ჩატარდა 2015წ. 28 ოქტომბერს.
  სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" განცხადება დაკმაყოფილდა და მისი მოთხოვნა აღიარებული იქნა კრედიტორთა მე-6 რიგის მოთხოვნებში.
  აღნიშნული წარმოება მიმდინარეობს და ამ ეტაპზე დასრულებული არ არის.

<u>3. საჯარო ინფორმაციის გაცემის შესახებ</u>

საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნით სსიპ "საზოგადოებრივ მაუწყებელში" შემოვიდა 14 განცხადება, საიდანაც დაკმაყოფილდა 10 განცხადება (ამასთან, 2 განცხადებაზე გაკეთდა შესაბამისი განმარტება), 1 განცხადება არ დაკმაყოფილდა, 1 განცხადება დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, 2 განცხადებაზე გაკეთდა შესაბამისი განმარტებები.

4. სსიპ "საზოგადოებრივ მაუწყებელში" წარმოდგენილი საჩივრების შესახებ

ა) ადმინისტრაციული საჩივრების შესახებ

სსიპ "საზოგადოებრივ მაუწყებელში" წარმოდგენილი იქნა შემდეგი ადმინისტრაციული საჩივრები:

1.

2016 წლის 11 ივლისს სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" სამეურვეო საბჭოს ადმინისტრაციული საჩივრით მიმართა გ. ი-მა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე მოითხოვა საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელ პირს დაევალოს:

ა) 2016 წლის 10 ივნისის პასუხის ფარგლებში აცნობოს გ. ი-ს ის კანონი და შესაბამისი ნორმა, რის საფუძველზეც 2004 წლის 14 და 15 სექტემბერს სსიპ "საქტელერადიომაუწყებლობის" თავმჯდომარის მიერ მომზადებული, გამოცემული და აღსრულებული იქნა #724-კ და #726-კ ბრძანებები;

ბ) 2016 წლის 10 ივნისის პასუხის ფარგლებიდან გამომდინარე მიაწოდოს წერილები, რომლითაც მან არაერთხელ "განუმარტა" სსიპ "საქტელერადიომაუწყებლობის" თავმჯდომარის 2004 წლის 14 და 15 სექტემბრის #724-კ და #726-კ ბრძანებების მომზადების, გამოცემის და აღსრულების წესი და თუ ამგვარი განმარტებები მას არ მოუწოდებია, ამის თაობაზე აცნობოს წერილობით.

სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" სამეურვეო საბჭოს 18.07.2016წ. გადაწყვეტილებით, ადმინისტრაციული საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

2.

2016 წლის 9 აგვისტოს სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" სამეურვეო საბჭოს ადმინისტრაციული საჩივრით მიმართა მოქალაქე გ. ი-მა.

ადმინისტრაციული საჩივრით გ. ი-მა მოითხოვა ბათილად იქნეს ცნობილი სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირის 05.08.2016წ. #3586/02 პასუხი და ამ უკანასკნელს დაევალოს გ. ი-სთვის 2016 წლის 2 აგვისტოს განცხადებით გამოთხოვილი ინფორმაციის მიწოდება, კერძოდ, 2004 წლის 14 სექტემბრამდე სსიპ "საქტელერადიომაუწყებლობის" თავმჯდომარის მიერ #724-კ ბრძანების გამოცემამდე სახელმწიფო მაკონტროლებელი ორგანოსათვის წარდგენილი მოთხოვნა საშტატო განრიგის გაუქმების თაობაზე და სახელმწიფო მაკონტროლებელი ორგანოს მიერ გაცემული თანხმობა საშტატო განრიგის გაუქმების თაობაზე.

ადმინისტრაციული საჩივარი განსახილველად გადაეცა სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" გენერალურ დირექტორს, რომლის 23.08.2016წ. გადაწყვეტილებით, გ. ი-ს უარი ეთქვა ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე.

3.

2016 წლის 15 სექტემბერს სსიპ "საზოგადოებრივ მაუწყებელს" ადმინისტრაციული საჩივრით მიმართა მოქალაქე გ. ბ-მა და მოითხოვა სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელ პირს დაევალოს საჯარო ინფორმაციის მიწოდება, კერძოდ, 1. საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერში (პირველი არხი; მეორე არხი) 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის პოლიტიკური პარტიების მიერ განთავსებული (მათ შორის მოწოდებული და არ განთავსებული) პოლიტიკური/წინასაარჩევნო ვიდეორგოლების ასლი. მათ შორის ის ვიდეო რგოლები, რომლებიც მაუწყებლის ეთერიდან მოიხსნა და 2. განთავსებული, არ განთავსებული და მოხსნილი ვიდეორგოლების შესახებ. მიზეზი ვიდეოების არ განთავსების ან მოხსნის შესახებ.

სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" გენერალური დირექტორის 11.10.2016წ. გადაწყვეტილებით ადმინისტრაციული საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

ბ) თვითრეგულირების ორგანოში/კომისიაში წარმოდგენილი საჩივრების შესახებ

"მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-14 მუხლის 1-ლი პუნქტისა და საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2009 წლის 12 მარტის #2 დადგენილებით დამტკიცებული

“მაუწყებელთა ქცევის კოდექსის“ საფუძველზე, სსიპ “საზოგადოებრივ მაუწყებელში“ შექმნილია თვითრეგულირების მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს ამ კოდექსით გათვალისწინებული საჩივრების განხილვას.

2016 წლის მე-3 კვარტლის განმავლობაში სსიპ “საზოგადოებრივ მაუწყებლის“ თვითრეგულირების ორგანოში საჩივარი/განცხადება არ შემოსულა.

5. სხვა საკითხების შესახებ

სხვა მხრივ, იურიდიული სამსახური თავისი ფუნქციებიდან გამომდინარე, მიმდინარე საკითხებთან დაკავშირებით იძლევა სამართლებრივ კონსულტაციებს, ამზადებს სხვადასხვა სახის წერილებს, ბრძანებებს, მემორანდუმებს, შესაბამის აქტებს, სამეურვეო საბჭოს გადაწყვეტილებებს და ა.შ.

არქივი

საზოგადოებრივი მაუწყებლის არქივი აგრძელებს მუშაობას ჩვეულ რეჟიმში. არქივში არ მომხდარა მისთვის საჭირო ტექნიკური გადაიარღება ამ კვარტალშიც არ დამტკიცებულა არქივის ახალი სტრუქტურა და შესაბამისად, ადამიანური რესურსი ახორციელებს იმ სამუშაოს, რასაც აქამდე ახორციელებდა.

გრძელდება მუშაობა მაუწყებლის აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ და რუსულენოვან საიტებზე. საიტზე განსათავსებელად არქივის ფონდებში მოვიძიეთ უნიკალური კულტურულ-საგანმანათლებლო აუდიო, ვიდეო, ფილმო და ფოტო მასალა. მასალის ერთი ნაწილი უკვე განთავსდა საიტზე. არქივის მთავარი სპეციალისტი ამზადებს ანოტაციებს ამ საიტზე განსათავსებელი მასალისთვის.

ელექტრონული საძიებო ბაზა არის მოძველებული და ამ ბაზის საფუძველზე შეუძლებელია ელექტრონული კატალოგის შექმნა. აუცილებელია ახალი პროგრამის დაწერა არქივის საძიებო სისტემისთვის, სადაც შეძლება ინტეგრირება საიტის ელექტრონულ კატალოგთან. სწორედ ამ მიზნით მოვიწვიეთ სპეციალისტი, რომელიც ამჟერად არქივის ბაზების სტრუქტურას შეისწავლის და ამზადებს ჩარჩოს საერთო ბაზისთვის. ამის შემდეგ დაიწერება სპეციალური პროგრამა.

დოკუმენტების არქივიდან გადმოგვეცა გადაცემების პასპორტები და ანოტაციები. შემდეგი ეტაპისთვის გვესაჭიროება სივრცე, სადაც შესაძლებელი ინება ამ მასალის განთავსება, შინაარსობრივად დალაგება. არსებული მასალა დაეხმარება არქივის რედაქტორებს ძველი გადაცემების გაშიფვრის პროცესში.

აღიწერა ფოტო ფონდში დაცული საქაღალდეების რაოდენობა და მოხდა ფოტო ფონდის ბალანსზე აყვანა. ეს საშუალებას მოგვცემს შევარჩიოთ ფოტოები და გამოვცეთ კატალოგი, რომელშიც ყველასთვის საინტერესო უნიკალური კადრები შევა.

საზოგადოებრივი მაუწყებლის საიუბილეო წელთან დაკავშირებით საზოგადოებრივი მაუწყებლის არქივი გეგმავს ფოტო კატალოგის დაბეჭდვას. შეირჩა ტელევიზიის ფოტო არქივიდან უნიკალური მასალა, სადაც ასახულია ტელევიზიის ძველი თანამშრომლების,

საინტერესო სტუმრების, სამუშაო პროცესის, საზოგადოებრივი მაუწყებლის ისტორიული კადრები.

გარდა მიმდინარე სამუშაოებისა, არქივის სამსახური მუდმივად აკმაყოფილებს გარე მომხმარებლის მოთხოვნებს სხვადასხვა შინაარსის მასალაზე. 2016 წლის III კვარტალში გაყიდული მასალის საზოგადოებრივი მაუწყებლის ბიუჯეტში შემოსული თანხა ამ დროისათვის შეადგენს 27 755.50 ლარს.

კინო-ფოტო და ვიდეო ფონდებში შესრულებული სამუშაოს ანგარიში

ვიდეოფონდის მონაცემთა ერთიან ბაზაში აღრიცხული და სისტემატიზებულია (გაშიფრული, შინაარსობრივად დამუშავებული) მიმდინარე გადაცემები, ძველი ვიდეომატარებლებიდან და კინო ფირებიდან ციფრულ DVCAM-DVD მატარებლებზე გადატანილი, სატელევიზიო პროგრამები და ფილმები) სულ: 1054 ჩანაწერი - 420 სთ-ზე მეტი.

დაარქივდა (DVD, DVCAM მატარებლებზე) ძველი და მიმდინარე გადაცემები და სხვადასხვა ტიპის ვიდეო მასალები; ვიდეოფონდის სამონტაჟოებზე ჩაიწერა – შიდა გამოყენებისთვის, გარე ორგანიზაციებისა თუ მოქალაქეებისთვის, –232 ერთეული 292 სთ-ზე მეტი ქრონომეტრაჟის აუდიო-ვიზუალური მასალები.

“დიდი ვიდეოფირებიდან” (პირველი თაობის 55 მმ.Q ფორმატის ვიდეოფირებიდან) ციფრულ (DVCAM) მატარებელზე გადატანილია 9 ერთეული აუდიო-ვიზუალური 8:20 სთ . მოცულობის მასალა.

პარალელურად მიმდინარეობს საინფორმაციო ბაზის სრულყოფა: უზუსტობების აღმოფხვრა, თარიღების დადგენა, დაზუსტება, დამატებითი დეტალების შეტანა, კორექტურის გასწორება და სხვ.).

კინო-ფოტო ფონდი- 16 მმ. კინოფირებიდან ციფრულ (DVCAM)მატარებელზე გადატანილია 40 ერთეული (78 ნაწილი) 13 სთ. მასალა;

აქედან უნიკალური მონიტორული გადაღება- 6 ერთეული, 22 ნაწილი, 3:40 სთ. უხმო მასალები- 34 ერთეული, 56 ნაწილი, 10 სთ.

პერმანენტულად ნიავდება და ტექნიკურად მუშავდება კინო მასალა. მაგნიტური ფონოგრამას და გამოსახულებას ვაცალკევებთ (მაგნიტურ ფონოგრამა იდება ცალკე კოლოფში პოლიეთილენის პარკში შეფუთული) სულ დამუშავებულია 40 ერთეული. გრძელდება კინოკატალოგის ელექტრონულ ბაზაში შეტანა. 2016 წლის მესამე კვარტალში

შევიდა 130 ბარათი (ამ დრისთვის სულ შეტანილია 2330 ბართი). ფოტო ფონდიდან -სხვა და სხვა ტელე გადაცემების და ვებ გვერდის მიერ გამოყენებულია ფოტოები (მათ შორის რადიო და ტელევიზია) სხვადასხვა დასახელების 204 საქაღალდიდან.

არსებულ კატალოგში დაფიქსირებულია 3073 ერთეული მათ შორის: მხატვრული ფილმები, ტელეფილმები, მუსიკალური ფილმები, ფილმი-სპექტაკლები, თოჯინური ფილმები, კინომატიანე, სამეცნიერო-პოპულარული და საფონდო სიუჟეტები. აღწერამ აჩვენა ,რომ საცავში ძველ კატალოგში შესული ფირები სრულად არ არის ადგილზე. საუბარია დედნებზე. სავარაუდოდ მასალა წაიღეს რეჟისორებმა და აღარ დააბრუნეს, ზოგიერთი მათგანი დაკარგულია. და არ არის დაბრუნებული, ხოლო ზოგიერთი მათგანი დაკარგულია.

მეორე ეტაპი- აღიწერა, თუ რა ტიპის კასეტებზეა გადაწერილი და დაცული ტელევიზიის არქივში არსებული მასალა

2016 წლის მესამე კვარტალში სამსახურის მუშაობის შედეგად გამოჩნდა, თუ რა ინახება არქივის საცავში.

აუდიოფონდი

გასათვალისწინებელია მესამე კვარტალში შვებულებების პერიოდი, ამასთანავე შენობის სარემონტო სამუშაოებისას შეჩერებული სტუდიები, რის გამოც მივიღეთ შემდეგი შედეგი:

კატალოგი შეივსო და სერვერში გადაიწერა 150 საათის და 30 წუთის მასალა, რაც უდრის 90 Gb

N 3 სტუდიაში - სერვერში გადავიდა და კატალოგი გაუკეთდა 7 საათის მასალას. შემოწმდა 5 Gb-ის ფირები.

გაიშიფრა ფონდში არსებული უცნობი ფირები და ფონდში შევიდა 3 საათის მასალა.

საინფორმაციოს არქივის განყოფილება

„მოამბის“ არქივში შესრულებული სამუშაოები:

ეთერში გასული მასალა - სიუჟეტები, კადრ-სინქრონები და გადაფარვები- დეტალურად გაშიფრული და დაარქივებულია 12 830 ფაილი, რომელმაც შეადგინა 192 საათი.(შევსებულია და საძიებო ბაზაშია შეტანილი 4 738 ბარათი).

„მოამბის“ არქივიდან მასალების მოძიებას ახორციელებს სამი მორიგე რედაქტორი:

შავი მასალა - გაშიფრული და დაარქივებულია მასალა 20 კასეტაზე, რაც შეადგენს 60 საათს, ანუ შევსებულია და საძიებო ბაზაშია შეტანილი 208 ბარათი.

ტელეკომპანია GDS-სთვის მოძიებული და გაცემულია: ივლისი - 67 წუთი.აგვისტო-50 წუთი. სექტემბერი-38 წუთი.

სამ თვეში სულ 2 საათი და 35 წუთი.

„მოამბის“ არქივიდან მასალების მოთხოვნის მიზნით შემოსულია 19 წერილი (ყველა მოთხოვნა დაკმაყოფილებულია).

არქივმა მოახერხა მისი მუშაობის სრულყოფისთვის მნიშვნელოვანი ნაბიჯის გადადგმა, რაც გულისხმობს სადემონსტრაციო ოთახის მოწყობას და მის აღჭურვას შესაბამისი ტექნიკით. ამ ოთახში გარე მომხმარებელს შესაძლებლობა აქვს თავად მოიძიოს მისთვის საჭირო მასალა, შეარჩიოს და გააკეთოს შესაბამისი განაცხადი. ამ სამუშაოს შესრულებაში მომხმარებლებს ეხმარებიან არქივის კოორდინატორები.